№ 2826
კვირა,
22 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2826
კვირა,
22 მაისი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეკატირინე დავითის ასული გვრიტიშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **პავლე გიორგის ძე გვრიტიშვილი და შვილები—ბარბარე პავლეს ასული ბროძელისა, ანნა პავლეს ასული გვრიტიშვილი, გიორგი, მიხეილი, ნიკოლოზ პავლეს ძენი.** პანაშვიდი დღეს, 21 მაისს საღ. 7½ საათ. განსვენებულის ბინაზე—დესიმონოვის მოედანი № 48, გამოასვენებენ კვირას 22 მაისს დილის 9½ კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაასაფლავებენ კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—226—2).

წელიწადი — **სანატორიუმი** — მეორე

4400 ფუტის სიმაღლე. **საზაფხულო სამყოფი** 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჯაობის ციებით შეპყრობილნი და საერთოთ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება,

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ღამბაშიძესთან. ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—11).

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მოსდის ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.

ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუდარებლად. (0—32)

25 მაისს 1905 წ. **ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლის სასარგებლოდ** ნემეცების ბაღში, მიხეილის ქუჩაზე, გაიმართება

სეირნობა ყმაწვილებისათვის

მოწყობილი იქნება ყოველ გვარი გასართობი ბავშვთათვის, ბაზარი მოწაფეთა ხელსაქმისა, კომფეტტები, ბედის ჩარხი და სხვა. **ევროპიული ცეკვა და ლეკური.**

დასაწყისი 4 საათზე. შესასვლელი ფასი 20 კ., მოზდილთათვის 30 კაპ. (3—[illegible]—1)

რესტორანი

„ფუნიკულერი".

1 ს. 5 ს. სადილი 4 ბლუდი 1 მ.

სადილი 22 მაისისთვის

დანიშნული განსაკუთრებულ გამოცდილის მზარეული მ. მიშელის.

1. შჩი რუსულად ქაშით.
2. სუფი კრესს პიროჟკებით.
3. მაიონეზი ზუთხის.
4. ბატკანი თუშური.
5. მაროჟნი შეკოლადის.

და 6. ყავა.

სადილი 23 მაისისთვის

1. ბორშჩი უკრაევია.
2. სუფი სენჟერმე პიროჟკებით.
3. ნალესნიკი სმეტანით.
4. ფილე-სოტე სოუსი მადერი.
5. კრემი ნაღებისა.

და 6. ყავა.

მოძრაობა ფუნიკულერის ვაგონებისა ღამის 11 საათამდე.

5 სათიდან—10 საათამდე უკრავს ორკესტრი 3-კავკასიის მსროლელთა ბატალიონისა კაპელმიესტერ ფიდელმანის ზედამხედველობით.

(0—15) პატრონი ნ. ტ. ჩიკვაიძე

ახალი ბუფეტი

„არარატი"

(ავჭალის ქუჩის დასაწყისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უხვევს, კუთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).

სუფთად და კოხტად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. სანოვაგე ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშამი ყველასთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილი ღირს: ორი თავი საჭმელი, ერთი ჭიქა არაყი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—40 კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—65 კაპ.

(თვ.—6.—7) პატივის ცემით **ვანო.**

გაილო რესტორანი ბაღით

„ბანდებილი"

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)

მამა-თავითის გორაზე, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი 1/2 ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

რესტორანის პატრონი **ტ. ი. ფარჯანაძე.**
(15—208—13)

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (80—278—24)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

ბიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ახალი წიგნი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი იაკობ გოგებაშვილისა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ფასი ერთი აბაზი. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაგზავნის გურიაში იქაური საჯარო ბიბლიოთეკების შესავსებლად საუკეთესო წიგნებითა (6—1)

ვეტცელის თეატრი
(მიხაილოვის პროსპექტი)

ორშაბათს, 23 მაისს, 1905 წ. ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

და-ძმა

დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ნ. საფაროვი; ბ-ნნი სვიმონიძე, ივანიძე, სარჯველაძე, საფაროვი, გვარაძე, ხახანაშვილი, რომანიშვილი, ჯივიძე, იმედაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ-დან 30კ-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (1—1)

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—12)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (306. 13)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
20 მაისი.

პეტერბურგი. გენ. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა, 18 მაისის თარიღით გამოგზავნილი: „16 მაისს იაპონელებმა წინ გამოილაშქრეს ჩვენის ჯარის წინააღმდეგ მდინარე ცინხეს ველზე, ფეიშულინის უღელტეხილიდან 3 ვერსტზე. უღელტეხილი ჩვენს ხელში დარჩა. იხჩენის მიდამოებში, ხერსიდან 30 ვერსტზე სამხრეთ-დასავლეთით, ხუნხუზების რაზმი აღმოაჩინეს. გაგზავნილმა მოხალისეებმა რაზმი გაჰფანტეს და ხუნხუზების ნაწილი დახოცეს".

პეტერბურგი. საზღვაო შტაბის მიერ 19 მაისს მიღებულ ცნობებას თანახმად, კრეისერ „ურალ"-იდან გადურჩენიათ კრეისერის უფროსი პირველ რანგის კაპიტანი ისტომინი, მეორე რანგის კაპიტანი თავადი შირინსკი-შიხმატოვი, ინჟინერ-მექანიკების კორპუსის პოლკოვნიკი სპერანსკი, ლეიტენანტები სერგეი ევდოკიმოვი და კონსტანტინ ჩეკლოკოვი, საზღვაო პრაპორშჩიკები ოსკარ ტიდემანი და ლაზარე ხაჩიკოვი და პრაპორშჩიკი მექანიკი რემონტოვი.

ლონდონი, 20 მაისი. „დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტს უსაუბრნია კრეისერ „ადმირალ ნახიმოვ"-ის უფროსთან, რომელსაც შემდეგი უამბნია: „ჩვენ მოკლე გზა ავირჩიეთ ვლადივასტოკისაკენ. როცა ერთს სრუტეში შევედით, იაპონელებს შევხვდით და, სამწუხაროდ, მტერმა ჩაგვითრია. მალე იაპონელები წინიდანაც მოგვექცნენ და უკინიდანაც, სულ გარს შემოგვერტყნენ; ჩვენი მდგომარეობა უიმედო იყო, რადგან ხაფანგში გავებით. იაპონელები ისროდნენ და ყუმბარებს განგებ ჩემს სამანქანე განყოფილებას უმიზნებდნენ. მალე ჩვენს კრეისერს მოძრაობა აღარ შეეძლო. მაშინ ორი ნავი ჩავუშვით წყალში და შიგ 600 კაცზე მეტი მატროსი ჩავსხით. იაპონელების კრეისერმა და კონტრ-ნაღმოსანმა გადაგვარჩინეს. მე და ჩემმა შტურმანმა—აფიცერმა გადავწყვიტეთ კრეისერის ხვედრი გაგვეზიარებინა და კრეისერზე დავრჩით, სანამ არ ჩაიძირა, წყალ-ქვეშ მოვექცით და გონება დავკარგეთ. საკმაოდ დიდხანს დავრჩით წყალში, მერე იაპონელმა მეთევზეებმა გადაგვარჩინეს. იაპონელები მეტად მარჯვედ იბრძოდნენ; ყველა იმათ მოქმედებას ხელოვნება და მექანიკური სისწორე ეტყობოდა."

ვაშინგტონი, 20 მაისი. ტოკიოდან მიღებულ დეპეშის თანახმად, იაპონელებს საზღვაო ბრძოლაში ჯავშნოსნებსა და კრეისერებზე 113 აფიცერი და მატროსი მოუკლეს და 424 აფიცერი და მატროსი დაუჭრეს; დაჭრილთა შორის ურევია კრეისერ „ადზუმა"-ს უფროსიც. ნაღმოსნებზე 87 კაცია მოკლული და დაჭრილი.

ვაშინგტონი, 20 მაისი. იაპონიის ელჩი ტაკახირა დღეს ხელ-ახლად ესაუბრა რუზველტს. იქნება მალე შერიგება მოხდეს. ხმა დადის, ამერიკის ელჩს პეტერბურგში მეიერს იაპონიის პირობა შეატყობინესო.

პეტროკოვი, 20 მაისი. მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე უცნობ ბოროტ-განმზრახველთ დაუზიანებიათ ძეგლი კაპიტან ნიკიფოროვისა და ხუთის სალდათის საფლავზე. ესენი 1863 წელს არიან მოკლულნი.

მინსკი, 19 მაისი. ზარახები, წინდის მქსოვლები და ტრეპელის ქარხნის მუშები გაიფიცნენ. დურგლების გაფიცვა გათავდა.

ლოძი. დანით ზურგში დასჭრეს უბნის პოლიციელი ზედამხედველი პოლკოვსკი. ბოროტ-განზრახველი დაიმალა. ესპები შეთანხმდნენ და საქონლის ხოცვა დაიწყეს.

ბაქო, 19 მაისი. 12½ საათე დღისით პოლიციელი კორიზენკო მოჰკლეს რევოლვერით ტორგოვი და კრასნოვოდსკის ქუჩების კუთხეში. კორიზენკომ ტელეფონის ქუჩაზე ყუმბარების საწყობი აღმოაჩინა, რის გამო რამდენიმე პირი დაიჭირეს. კორიზენკოს მოკვლას კავშირი აქვს ამ გარემოებასთან. მკვლელნი დაიმალნენ.

კაზანი. გუბერნატორმა გამოსცა დადგენილება იარაღის ვაჭრობაზე და ნებადაურთველად იარაღის ყიდვა აკრძალა.

პარიზი, 20 მაისი. ესპანიის მეფის მოკვლის განზრახვა შედეგია ესპანიელების შეთქმულობისა. დაატუსაღეს პუბლიცისტი და ბეჭდითი ანარხისტი მალატო, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ პარიზში მოსულ ესპანიელ ანარხისტებისათვის ბინა მიუცია.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
20 მაისი

ლონდონი, 19 მაისი. (რეიტ.). იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა, ტოგომ 13 მაისს მიიღო მოხსენება კრეისერ „კასსუგა"-ს კამანდირისა, რომელიც გუშინ შუადღისას დაბრუნდა და მოიყვანა „დმიტრი დონსკოი"-ს მეზღვაურნი; ამ გემმა 16 მაისს დილით გახსნა კინგსტონები და დასახურები და ჩაიძირა. როგორც ამისი მეზღვაურები, აგრეთვე „ბუინი"-სა და „ოსლიაბია"-სი გადმოსხეს ურლუნგის კუნძულზე. ეტყობა, „ბუინი"-ზე გადამსხდარა 14 მაისს შუადღისას როჟესტვენსკი თავის შტაბით, როცა მისი გემი დაიღუპა; ამავე გემზე გადმოუსხამთ 200 მეზღვაური „ოსლიაბია"-დან. დაბოლოს როჟესტვენსკი მისის შტაბით გადაიყვანეს ნაღმოსან „ბედოვი"-ზე; „ბუინი" წავიდა ჩრდილოეთისკენ, დილით შეხვდა „დმიტრი დონსკოი"-ს და მაზე გადაიყვანა ყველა მეზღვაურები. შემდეგ „ბუინი" ჩაიძირა. როგორც მეზღვაურების ერთი ნაწილი აჩვენებს, „ოსლიაბია"-ზე მტრის პირველმა ნასროლმა ჩაანგრია კაპიტნის ხიდი და იმსხვერპლა ადმ. ფელკერზამი. ნაშუადღევს 3 საათზე „ოსლიაბია" ჩასძირა ყუმბარებმა. „დმიტრი დონსკოი"-ს მეზღვაურები ამბობენ, 14 მაისს ჩაიძირა ორი ნაღმოსანიო. როჟესტვენსკის, ეტყობა, შინაგანი აგებულობა არ აქვს გაფუჭებული. მაჯა და ტემპერატურა ნორმალური აქვს, ტვინის შერყევის ნიშნები არა სჩანს.

ტოკიო, 19 მაისი (რეიტერი). საზღვაო სამინისტროს აღარ სჯერიან კიდევ მალოს თავისი ზარალი და აქვეყნებს, რომ დაღუპულნი არიან ჯავშნოსანი „იაშიმა" გასულ წლის 2 მაისს, კონტრ-ნაღმოსანი „აკატცუკი" 17 მაისს, საკანონირო ნავი „ოშიმა" 17 მაისს, კონტრ-ნაღმოსანი „ხაიტორი" 20 აგვისტოს, საკანონირო ნავი „ატაგო" 24 სექტემბერს და კრეისერი „ტაკასაგო" 30 ნოემბერს. ზემოთ ჩამოთვლილი გემები ყველა პორტ-არტურთან დაიღუპნენ.

ნაგასაკი, 19 მაისი (რეიტერი). ნაპირზე გადმოსხეს 3800 ტყვე-მეზღვაური. ნაკოტის ნაპირთან წყალმა გამორიყა რუსის სამი გაფუჭებული გემი.

ტოკიო, 19 მაისი (რეიტერი). წინასწარ ანგარიშით რუსებს ზღვაზე დაუკარგავთ 7-დან 9 ათასამდე კაცი, დაჭრილთ გარდა. ჰფიქრობენ, ვაი თუ მეტი წილი დაღუპულიაო. აუარებელი გვამი მოაქვს წყალს ნაპირებთანა და კუნძულებთან. „ორიოლ"-ის კაპიტანი გარდაიცვალა „მაიცზურუ"-ს გზაზე. დაჭრილი იაპონელები ამბობენ, „კნიაზ სუვოროვ"-მა პირველმა დაიწყო სროლაო. „მიკაზა"-მ მაშინათვე უპასუხა, რის შემდეგ ასტყდა ზარბაზნის სროლა. მოპირდაპირენი მიუახლოვდნენ ერთმანეთს. შეამჩნიეს „უშაკოვ"-ის ერდოზე ცეცხლი, ჯავშნოსანმა იწყო ბრძოლის ადგილის დაშორება. ხუთის ნახევარ საათზე რუსები მთლად აირ-დაირიენ. „ბოროდინო", რომლის მეზღვაურნი თავგანწირვით ისროდნენ, და „კამჩატკა" ძირს წავიდნენ. 15 მაისს ლიაონკურტის ახლოს გამოჩნდა რუსის 5 გემი. „იზუმრუდ"-ი გაქანებული წავიდა. დანარჩენები დანებდნენ. ძლიერს წინააღმდეგობას უწევდა „დმიტრი დონსკოი", რომელსაც „აზამა" მისდევდა. კრეისერი გაქცევას აპირებდა. მას გამოუდგა მტერი და მზის ჩასვლამდე მისდია. 16 მაისს გავიგეთ, რომ „დმიტრი დონსკოი" ნაპირზე გარიყულიყო. ბრძოლის წინ ტოგომ სიგნალი მისცა: „ჩვენის სამშობლოს ბედიღბალი ამ ბრძოლაზეა დამოკიდებული. იმედი მაქვს, რომ ყველა თქვენგანი შეასრულებს თავის ვალს"-ო. ბრძოლის დროს იაპონელები გარს ერტყმოდნენ რუსებს, რომელნიც გაჭრას აპირობდნენ. ღამით რუსებმა ნაღმოსნების ორი იერიში მოიგერიეს. მაგრამ მესამემ გაიმარჯვა. რუსები პროჟექტორების საშუალებით იგერიებდნენ ახალ იერიშებს, მაგრამ იმავ დროს საშუალებას აძლევდნენ მტერს აღმოეჩინა მოპირდაპირის გემები.

ნაგასაკი, 19 მაისი. იამაგუჩის ახლოს ნაპირზე გადმოსხეს 52 რუსი-მატროსი, რომლებში 10 დაჭრილია; ფიქრობენ, რომ ეს სადმე ახლოს დაღუპულ გემის მეზღვაურები არიანო.

ტოკიო, 20 მაისი. ჯავშნიან გემ „ორიოლ"-ს იაპონელები იოკოსუკაში უპირებენ მიყვანას, რომ იმპერატორმა გასინჯოს. ამბობენ, ვითომ ბრძოლის დაწყების უმალვე 300 კაცი მოჰკლეს და დასჭრეს „ორიოლ"-ზეო. შემდეგი ცნობები ირწმუნებიან, რომ „ორიოლ"-ი მამაცად და თავგანწირულად იბრძოდა, სანამ იაპონელებს არ დაჰნებდაო. გემს ყუმბარები მოჰხვედრია, ზარბაზნები დაზიანებული და ლაფეტებიდან გადავარდნილია.

ტოკიო, 20 მაისი. („ლოკალ ანცაიგერი"). ადმ. როჟესტვენსკიმ ცუდად დააყენა ბრძოლის დროს თავისი ესკადრა, რადგან კრეისერები მარცხენა მხარეს იდგნენ და იაპონელების პირდაპირ ზარბაზნებს უშენდნენ. ჯავშნიანი გემები მარჯვნივ იდგნენ და ცოტათი დაზიანდნენ, მაგრამ ცოტა საქმეც გაარიგეს. იაპონელები მარჯვედ სარგებლობდნენ წყალ-ქვეშ მავალ ნავებით.

პარიზი, 20 მაისი („ლოკალ ანცაიგერ"-ი). აქ ფიქრობენ, რომ იაპონიის ელჩი ლონდონში გაიაში წინადადებას მისცემს თავის მთავრობას დროებითი შერიგება ჩამოაგდოს, თუ ზოგიერთ საკითხს ვლადივასტოკის შესახებ საკმაოდ კარგად მოაწყობენ. ბერლინის უმაღლესი წრეები წინანდებურად თავდაჭერით უცქერიან შუამავლობას, მაგრამ მაინც უაზრობად სთვლიან რუსეთის მხრივ კერპობას.

ტოკიო, 20 მაისი. მტკიცდება ცნობა კრეისერ „ჟემჩუგ"-ის ჩაძირვაზე. სამხედრო ტყვეების შესახებ ცნობების შემკრები ბიურო იუწყება, ვინ და სად წაიყვანეს ტყვეთ, უნდა შეეკითხონ პირდაპირ ბიუროს, რომელიც პასუხს იძლევა შემკითხველის ხარჯით. ბიუროშივე იგზავნება წერილები და ამანათები სამხედრო ტყვეებისა.

რიაზანი, 19 მაისი. სადამთო ქალაქის ბაღში, მუსიკის შემდეგ პეტარდა (ნაღმი) გადაგდეს ბრუკლამაცებით გატენილი, რამაც ხოხქოლი გამოიწვია.

ლიბავა, 19 მაისი. სადამთო საბჭომ გადასწყვიტა, შემოღებულ იქნას სავალდებულო წესები კვირა-უქმე დღეებში დუქან-მაღაზიების დაკეტვის შესახებ.

პეტერბურგი, 19 მაისი. გაზეთ „ნაშა ჟიზნ"-ის მე-95-ე № და სხვა გაზეთებიც აქვეყნებენ, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრომ რუსეთის წარმომადგენლებს უცხოეთში ცირკულიარებით აცნობა, ხალხის წარმომადგენლებს პეტერბურგში უახლოეს მომავალში მოიწვევენო. ჩვენ გამოვიკვლიეთ და გავიგეთ, რომ არავითარი ასეთი განკარგულება არ ყოფილა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გაცრუებული იმედი. როცა ადმ. როჟესტვენსკიმ საფრანგეთის პორტებს მიანება თავი და ჩრდილოეთისაკენ წავიდა, უფრო და უფრო გასახარო და სასიამოვნო ამბები მოდიოდა რუსის ფლოტზე.

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ჩერნიხოვსკი 15 მაისს, ესე იგი ბრძოლის მეორე დღეს, იუწყებოდა შანხაიდან: გუშინ დილით ელვასავით მოედო შანხაის ამბავი, რომ როჟესტვენსკი მოდის თავის ესკადრითაო. როჟესტვენსკის ნიჭიერმა მოქმედებამ განსაკუთრებულ აღტაცების აფეთქება გამოიწვია ვაჭრების წრეებში: რუსის საკონსულოს თითქმის ალყა შემოარტყეს ვაჭრებმა; ყველა ითხოვს, ამა და ამ საქონელს ჩავაბარებთ თქვენს ესკადრასაო.

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი 14 მაისის თარიღით, ბრძოლის დღეს, იუწყებოდა ლონდონიდან: „ტოკიოდან, შანხაიდან და მანილიდან მიღებული ამბები ერთხმად ჰმოწმობენ, რომ რუსის ფლოტი ბატანის კუნძულებთან მისულა, ფორმოზასა და ფილიპეს კუნძულებს შუაო. ამ ამბავზე დიდის ინტერესითა და გატაცებით ლაპარაკობენ მეზღვაურები და პოლიტიკოსები. არავინ არ მოელოდა, რომ როჟესტვენსკი ასე შორს წავიდოდა მთელის თავის ფლოტითა და ქვანახშირსა და სანოვაგესაც უხვად იშოვიდა. აქ ყველანი ჰფიქრობენ, რომ რუსის ადმირალი ვერას დროს ვერ შეიძლებდა ამ საქმეს, საფრანგეთს რომ მეგობრული დახმარება არ გაეწია, მაგრამ როჟესტვენსკიმ გენიალურად ისარგებლა ამ დახმარებით და ეხლა ომის ასპარეზზე იმყოფება თავის კარგად მოწყობილ და ძლიერის ფლოტით; რუსის ფლოტი ეხლა უფრო ძლიერია, ვიდრე ბალტიის ზღვიდან გასვლის დროს იყო. ისტორიას არ ახსოვს სხვა ამნაირი მაგალითიო. იაპონიის მდგომარეობა ზღვაზე განსაცდელშია და ამიტომ იაპონიის მომხრეები ლონდონში ძლიერ აღელვებულნი არიან... ცნობა ცნობაზე მოდის როჟესტვენსკი იაპონიის წყლებში მივიდა კიდევაცაო. ეტყობა, რუსის ადმირალს კუნძულ კველპარტის გვერდზე გაუვლია და კუნძულ ცუსიმას ემუქრება. ამნაირად ნელ-ნელა დაუდგომლად და მოფიქრებით დიდი მანძილი გაიარა როჟესტვენსკიმ და ეხლა მტრის უმთავრეს პოზიციას ემუქრის".

7 მაისს გზაში ადმ. როჟესტვენსკის ერთი სავაჭრო გემი შეჰხვედროდა და ჩაეძირა, ალბად, სიფრთხილის გულისათვის, რომ ამ გემს ამბავი არ გაეგზავნა იაპონელებისათვის. ამაზე ხმა გავრცელდა, ზღვაში ბრძოლა მოხდა და იაპონელები დამარცხდნენო. ეს რუსებისათვის გასახარი ამბავი ხელად მოეფინა მთელ ქვეყნიერობას, ბევრმა დაიჯერა კიდევაც და უფრო იმედითა და სასოებით ელოდა რუსის ფლოტის გამარჯვებას.

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი თითქო გულის წყრომით იუწყებოდა ლონდონიდან: აქ რუსის ფლოტის გამარჯვების ამბავი მოვიდა, მაგრამ იაპონიის საელჩო აცხადებს, საზღვაო ბრძოლაზე არავითარი ცნობა არ მიგვიღია ტოკიოდანაო.

16 მაისამდე სულ რუსის ფლოტის გამარჯვების ამბავი იბეჭდებოდა რუსულ გაზეთებში. 15 მაისს პარიზიდან დეპეში ატყობინებდნენ „ბირჟევია ვედომოსტი"-ს ბრძოლის პლანის თანახმად, როჟესტვენსკი მოწინავე გემებმა კუნძულ სვენცარტ

ჩრდილოეთით მოულოდნელად იერიში მიიტანეს იაპონიის მზვერავ რაზმზე და იაპონელები ბრძოლის ველიდან გაიქცნენო. იაპონელმა ადმირალმა დროზე ვერ შეკრიბა ერთ ადგილას თავისი ფლოტი და ამიტომ იაპონიის კრეისერების და ნაღმოსნების ნაწილი საჭირო დროს ფორმოზასა და პესკადორის კუნძულების უკან დარჩაო. ტოკიოდან ამბავი მოვიდა, იაპონიის საზოგადოება დიდის შეწუხებით ელის საზღვაო ბრძოლის შედეგს. თუმცა ადმ. ტოგოს გამოცდილების იმედი აქვთ, მაგრამ იაპონელების აზრით, როჟესტვენსკიც ძლიერი მოპირდაპირეა და ნიჭითა და გამოცდილებით ტოგოს არ დაუვარდებაო.

„ნოვოე ვრემია"-ს გულწრფელად სჯეროდა თავის კორესპონდენტების ცნობები და დიდი იმედი ჰქონდა ადმ. როჟესტვენსკისა. 15 მაისს, ბრძოლის მეორე დღეს, „ნოვოე ვრემია" სწერდა: მოახლოვდა წამი, როცა იაპონიის ანგარიშს გავუსწორებთ. რუსის ადმირალმა მოულოდნელად მოკლე, პირდაპირი გზა აირჩია. იაპონელები თავის დღეში არ ელოდნენ, რომ რუსის ფლოტი ამ გზით წავიდოდა. დიახ, ბოლოს დრომდე იაპონელებს არა სჯეროდათ, რომ რუსის ახალი ესკადრა იაპონიის ნაპირებთან გაჩნდებოდა და ადმ. ტოგოს მთელ ფლოტთან გამკლავებას გაჰბედავდა. იაპონელები ჰგრძნობენ, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის მეზღვაურებმა კარგად იციან 28 ივლისის ბრძოლის ამბავი: 28 ივლისს პორტ-არტურის ესკადრამ მტრის ესკადრის წრე გაარღვია და ვლადივასტოკისაკენ წავიდოდა, უმოწყალო ბედს რომ ადმ. ვიტგეფტი არ გაემეტებინა და ესკადრის უფროსობა სხვა ადმირალის ხელში არ გადასულიყო... დიდი გამოცდილება შეიძინა 16 თვის განმავლობაში ადმ. ტოგომ, მაგრამ ჩვენც სარგებლობა მოგვიტანა გამოცდილებამ. უეჭველია, ადმ. როჟესტვენსკის მეზღვაურები პატიოსნადა და თავგანწირულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. უეჭველია, იაპონელებიც დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ ჩვენს ფლოტს. ერთის სიტყვით, ეს ნამდვილი დიდი ბრძოლა იქნება. იმედი ვიქონიოთ, რომ რუსის ფლოტი თავის დიდებულ სახელს აღადგენსო.

რუსეთის საზღვაო სამინისტროს ისეთი დიდი იმედი ჰქონდა გამარჯვებისა, რომ წყნარ ოკეანის მთელის ფლოტის უფროსად ადმ. ბირილევი დანიშნა და გაგზავნა კიდევაც ვლადივოსტოკს. მეორე და მესამე ესკადრის გარდა, მეოთხე ესკადრის გაგზავნასაც აპირობდნენ და სამივე ესკადრის უფროსობა ადმ. ბირილევს უნდა გაეწია. გაზ. „სლოვო"-ს სამხედრო მიმომხილველი 15 მაისს სერიოზულად ანგარიშობდა, რამდენი გემი ეყოლება ადმ. ბირილევს, როცა მეოთხე ესკადრაც ჩავა ვლადივოსტოკსაო.

აი ასეთი დიდი იმედი ჰქონდათ ადმ. როჟესტვენსკისა და იმის ფლოტისა, მაგრამ ადმ. ტოგომ მწარედა და უმოწყალოდ გააცრუა ეს იმედი: ბალტიის მძლავრი ესკადრა სულ გაანადგურა, 4 ჯავშნიანი გემი ხელში ჩაიგდო და თითონ „გენიოსი" ადმირალი, იმისი შტაბი, ადმ. ნებოგატოვი და 4 ათასამდე მეზღვაური დაატყვევა. დღემდე ვლადივასტოკამდე მხოლოდ შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკის იახტა „ალმაზ"-მა და ორმა პატარა ნაღმოსანმა მიაღწია; ამიტომ წყნარ ოკეანეს ფლოტის უფროსი ადმირალი ბირილევი უკან დაბრუნდა, პეტერბურგს. („ვ. ნ.").

საერობო თვითმმართველობა

ამ ჟამად ბიუროკრატია კავკასიის ადგილობრივ მმართველობაში თვალსაჩინო ცვლილების შეტანას აპირებს; საჯაროდ და საქვეყნოდ გამოცხადებულია, რომ შემოღებულ იქმნება საერობო თვითმმართველობა. ჩვენს გაზეთში ერთხელ და ორჯელ არ ყოფილა აღნიშნული ის გარემოება, რომ ეგრედ წოდებული ბიუროკრატიული რეფორმები, რომელთაც გვპირდებიან ამ ჟამად, მოულოდნელია სახელწოდებას, ნომენკლატურას გასცილდეს და ნამდვილად თვალსაჩინო ცვლილებას წარმოადგენდეს. ჩვენის გაზეთის აზრი ამ მხრივ მუდამ იმ წყაროდან მომდინარეობს, რომელსაც სახელმწიფო მმართველობის ყველა ორგანოების მთლიანობა და ერთ-სულოვანება შეადგენს. შეუძლებელია ერთსა და იმავე სახელმწიფოში პარალელურად, ერთი მეორის გვერდზე ჰმოქმედობდეს ბიუროკრატიული და თვითმმართველობითი სისტემა, რადგან ისინი ურთიერთის უარმყოფელ პრინციპებზედ არიან დამყარებული და ერთად ცხოვრება არ შეუძლიანთ. ბიუროკრატიისთვის, მაგალითად, აუცილებლად საჭიროა ცენტრალიზმი, თვითმმართველობას-კი ბუნებრივი მისწრაფება აქვს დეცენტრალიზაციისკენ. დღევანდელს მოკლე წერილში ჩვენ გვინდა დავანახვოთ მკითხველებს, რომ ბიუროკრატიულმა რუსეთმა უკვე სცადა შიდა გუბერნიებში თვითმმართველობის პრინციპის შეგუება, მაგრამ ეს ცდა უნაყოფოდ დარჩა და თან-და-თან თვითმმართველობის ორგანოები მხოლოდ სახელით ე. ი. გარეგნობით-ღა ირჩევიან ბიუროკრატიის სხვა ადგილობრივ დაწესებულებათაგან.

სამოციანი წლები რუსეთის ისტორიაში იმავ ხასიათის პოლიტიკურ გაზაფხულის დროს წარმოადგენს, როგორც ჩვენი დრო. მაშინაც ხალხი დაჟინებით ითხოვდა საზოგადოებრივ ძალთა მოწოდებას მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად, მაშინაც სხვა და სხვა იურიდიული ერთეულები სთხზავდნენ თავის დეზიდერიების (სურვილების) სიას და უგზავნიდნენ მთავრობას. მთავრობამ მაშინაც საჭიროდ დაინახა გამოფხიზლებულ საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილება, მაგრამ ისე-კი, რომ ამასთანავე საბოლოვოდ შეეზღუდათ „სხვა და სხვა წოდების თავისუფალი მისწრაფებანი და უსაფუძვლო იმედები". აი, ამ აზრით შეუდგნენ სამოციან წლებში საერობო თვითმმართველობის დებულების შედგენას და შემუშავებას. 1864 წლის პირველს იანვარს ეს დებულება დამტკიცებულ იქმნა და კანონიერი ძალა მიიღო. ამ დებულების შემდგენელები სცდილობდნენ გაეცალკევებინათ ადგილობრივ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელ სხვა და სხვა დაწესებულების ორგანიზაცია და სამეურნეო ნაწილი. სამეურნეო ნაწილი მთლად საერობო თვითმმართველობის ხელში უნდა მოქცეულიყო, საადმინისტრაციო-კი კვლავინდებურად ისევ ბიუროკრატიის ხელში უნდა დარჩენილიყო. მაგალითად, ადგილობრივ სკოლებისთვის შესანახად საჭირო ფული თვითმმართველობას უნდა მოეძებნა, სკოლების პროგრამმა-კი, ე. ი. სწავლა-განათლების ნიადაგი და პრინციპები კვლავინდებურად ისევ ბიუროკრატიის ხელში უნდა დარჩენილიყო. ერთის სიტყვით 1864 წლის საერობო დებულებამ სცადა შეერიგებინა ადგილობრივ მმართველობის ორგანიზაციაში სისტემა ბიუროკრატიულის ოპეკისა და სისტემა საერო თვითმმართველობისა. ორაზროვნება ანუ ორსახიანობა ახლად შექმნილ დაწესებულებებისა, რა თქმა უნდა, მალე განხეთქილების სახით საზოგადოების და მთავრობის წინაშე მთელის თავის ძლიერებით გამოიჭიმა. სისტემატიური წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა, რომელსაც პირველს ხანებში ვერც ბიუროკრატია და ვერც საზოგადოება ვერ ჰხედავდა, მალე რეალურად გამოიხატა ადგილობრივ ბიუროკრატიისა და საერობო დაწესებულებათა განხეთქილების ფორმით. მაგალითად, ბიუროკრატია სკოლის გახსნის ნებას არ იძლეოდა, თუ ამ სკოლაში სწავლა და აღზრდა ბავშვებისა იმის შეხედულების თანახმად არ იქმნებოდა მოწყობილი, საერობო დაწესებულებები კი სკოლებისთვის ხარჯის გადახდას უარობდნენ, თუ ბიუროკრატია ამ სკოლებში სწავლის საქმეს მათთვის არასასურველს მიმართულებას მისცემდა. ეს განხეთქილება ბუნებითად იზრდებოდა წლითი-წლობით და ბოლოს ყველასათვის ცხადს ფაქტად გადაიქცა. ოთხმოციან წლების ერთს ოფიციალურს დოკუმენტში ნათქვამია „მთავრობის საწინააღმდეგო ოპოზიციამ მკვიდრი ბუდე გაიჩინა საერობო დაწესებულებებშიო". საკანონმდებლო სფერებში დაიწყო ახალი მუშაობა საერობო თვითმმართველობის დაწესებულებათა სარეორგანიზაციოდ (შესაცვლელად). რეორგანიზაცია ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ საბოლოოდ აეცილებინა თავიდან მომავალში ერობისა და ბიუროკრატიის შუა განხეთქილების ანუ უთანხმოების ნიადაგი.

მეოთხმოცე წლები, როგორც მკითხველს ეცოდინება, რეაქციის ხანაა. ამიტომ, რასაკვირველია, რომ არავის ერთხელაც არ გაუტარებია თავში აზრი ისეთის რეორგანიზაციისა, რომელიც თვითმმართველობის პრინციპს მისცემდა უპირატესობას ბიუროკრატიულზე, პირიქით, საკანონმდებლო სფერებში მხოლოდ იმ ღერძზე ტრიალებდა აზრი, რომ ყოველს შემთხვევაში უპირატესობა ბიუროკრატიას დარჩენოდა, ერობა კი მუდამ იძულებული ყოფილიყო დაჰმორჩილებოდა ბიუროკრატიის ბრძანებას. ამ გვარად, ოცის წლის გამოცდილებამ დაანახვა ქვეყანას ის, რაც თავიდანვე უამისოდაც ცხადი უნდა ყოფილიყო, ადამიანი რომ ბუნებით ოპტიმისტი არ იყოს, სახელდობრ ის, რომ ვერავითარი დებულება, ვერავითარი კანონი ვერ შეარიგებს და ვერ შეადუღებს ერთსულოვან არსებად ორს მოწინააღმდეგე მიმართულებას, ორს მოწინააღმდეგე პრინციპს. დიდის ხნის მუშაობის შემდეგ საკანონმდებლო დაწესებულებებში, 1890 წლის 12 ივნისს გამოცხადდა ახალი საერობო დებულება, რომელიც შემუშავებულ იქმნა, როგორც ეს ნათქვამია უმაღლესს ბრძანებაში, იმ აზრით, რომ შეტანილ იქმნას თანახმობა ერობისა და სხვა მმართველობის დაწესებულებათა მოქმედებაში, „რათა ერობამ მეტის ნაყოფიერებით აღასრულოს მისდა ჩაბარებული მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე, თანახმად იმის დამაარსებელ ხელმწიფის სურვილისა და განზრახვისა". რეალურად ამ ნაყოფიერების წარმატებისათვის ახალი დებულება ძველი დებულებისაგან უმთავრესად იმით განსხვავდებოდა, რომ წინად საგუბერნიო ადმინისტრაციას მხოლოდ კანონიერების მხრივ ე. ი. ფორმალურად უნდა გადაესინჯა ერობათა დადგენილება და მარტოოდენ მაშინ შეეძლო ამ დადგენილებათა აღსრულება შეეჩერებინა, თუ დაინახავდა, რომ იგი ეწინააღმდეგება რაიმე კანონს და არღვევს იმას; ახალის დებულების ძალით კი ადმინისტრაციას მიენიჭა უფლება თვალ-ყური ადევნოს ერობის მოქმედებას აგრეთვე იმ მხრივ, თუ რამდენად ეთანხმება ეს მოქმედება მცხოვრებთა ინტერესებს. ამგვარად, ახალის კანონით ადმინისტრაციას ხელში იარაღი მიეცა ერობის მოქმედებას სწორედ ისეთი მიმართულება მისცეს, რომელიც იმის განზრახვას და მისწრაფებას შეესაბამება.

რეფორმის მიზანი აღსრულდა. თანხმობა და სოლიდარობა ერობასა და სხვა დაწესებულებათა მოქმედების შუა დამყარდა, მაგრამ ამასთანავე ერობამ დაჰკარგა თვით-მმართველობას ცხოველ-მყოფელი შემოქმედება და გადაიქცა ჩვეულებრივ საადმინისტრაციო დაწესებულებად იმ მცირედის განსხვავებით, რომ მოხელეების მაგიერ აქ საქმეს ამორჩეული პირები აწარმოებენ. თვით არჩევანიც არ არის საერობო დაწესებულებებისათვის ამ ჟამად დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ. ერობამ 1890 წლის შემდეგ თან და თან დაჰკარგა თვით-მმართველობითი ხასიათი და ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ ბევრმა თვალსაჩინო საერობო მოღვაწემ სრულიად ხელი აიღო საერობო დაწესებულებებში მუშაობაზე.

ბიუროკრატიის მისწრაფება თანხმობისა და სოლიდარობისაკენ აქაც არ გაჩერდა... სახელმწიფო და საერობო ხარჯები, ორივე ერთსა და იმავე ხალხს აწევს ზურგზე, ორივეს ერთი და იგივე მცხოვრებლები იხდიან. ამიტომ, რაც მეტი იქნება საერობო გადასახადი, მით უფრო ძნელდება სახელმწიფო ხარჯების აკრეფა. აქედან წარმოსდგა აზრი ბიუროკრატიისა საერობო გადასახადთა შეზღუდვის შესახებ, (предѣльность земскаго обложенія). რა თქმა უნდა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი მხარე მოვიგონეთ აქ ერობის ცხოვრებიდან, ნამდვილად კი ერობის ისტორია ერთი შეუჩერებელი და მთლიანი ბრძოლაა თვითმმართველობისა და ბიუროკრატიისა, ბრძოლა არა თანასწორი, რომელიც საბოლოოდ ბიუროკრატიულ დაწესებულებებში სწყდება და ამიტომ დამარცხებულიც მუდამ ერობა გამოდის.

ამ გვარად, 1864 წლის ორ-აზროვანი ანუ ორ პრინციპოვანი ერობა პირველი ცდა იყო რუსეთის ბიუროკრატიისაგან თვითმმართველობის შესათანხმებლად ბიუროკრატიულ რეჟიმთან. ორმოცის წლის გამოცდილებით ვიცით, რომ ეს ცდა უნაყოფო გამოდგა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ რაიმე წვრილმანი ანუ მექანიური მიზეზი, ესე იგი გარეგანი და მაშასადამე თავიდან ასაცილებელი მიზეზი ჰმოქმედობდეს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნებრივად შეუთანხმებელია და შეუგუებელი თვითმმართველობითი და ბიუროკრატიული პრინციპები. დღეს, როდესაც კავკასიაში ერობის შემოღებას ჰფიქრობენ, ჩვენ ძალაუნებურად გვაგონდება რუსეთის შიდა გუბერნიების ისტორია და ვფიქრობთ, რომ ლოღიკური წინააღმდეგობა მუდამ და ყველგან რეალურად განხეთქილებას შეჰქმნის. 1864 წლის ერობას „დაუნიშნავენ" კავკასიას, თუ 1890 წლისას—თითქმის ერთი და იგივეა: ვიდრე ბიუროკრატიული რეჟიმი საბოლოოდ არ მოიხრის თავის ქედს თვითმმართველობის წინაშე, ვერც ერთი ტიპის ერობა ვერ იხეირებს, ორივე დამჭკნარი და უნაყოფო იქნება.

გ. რ.

საჭიროა დახმარება

ამ დღეებში ტელეგრაფმა მეტად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა დასავლეთ საქართველოდან: რიონი არაჩვეულებრივად ადიდებულა, ნაპირები გადმოუხეთქია და გლეხთა ყანები წაულეკია.

სამწუხაროდ, ეს უბედურება სწვევია გურიისა და სამეგრელოს სოფლებს, სადაც უამისოდაც დიდი გაჭირვება ადგია ხალხს. ჯერ-ჯერობით მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ რიონის ტალღებს დაუზარალებია სოფლები—ლანჩხუთი, ნაგოითი, შუკრუთი, საჯავახო, კორეისუბანი, გულიკარი, კოდორი, ცალიკარი, სირიაჭყონი, ქოლადიდი, ჩიბათი და საძარჩანის მთელი აგარაკი. „კავკაზ"-ის კორესპონდენტის სიტყვით, სრულიად წალეკილია ორი მესამედი სიმინდის ნათესისა. ზარალი არ არის ჯერ გამოანგარიშებული, მაგრამ მეტად დიდია. მინდვრები ჯერაც წყლის ქვეშაა და თვალუწვდენელი მანძილი ზღვას მოაგონებს ადამიანს...

ჩვენი კორესპონდენტები გვწერენ, რომ უკანასკნელ წლებში, რადგან მუშაობა თითქმის შეწყვეტილი იყო ბოიკოტის გამო, ხალხი ქონებრივად მეტად დასუსტდა და დაეცაო; ახლა, ამ წყალდიდობამ ზედმეტი უბედურება არგუნა სოფელსა და საზოგადოებრივი დახმარება ერთობ საჭიროაო...

ამას გარდა, აღმოსავლეთ-საქართველოდანაც გვწერენ ზოგიერთ სოფლების გაჭირვებაზე. უკანასკნელ ამბების გამო, როგორც მოგეხსენებათ, ზოგან აჩეხილ იქმნა ტყე და მემამულეთ სხვადასხვა ზარალიც მიაყენეს. ახლა ყველა ამას ერთი ორად ახდევინებენ თურმე სოფლის საზოგადოებათ. ისედაც წელში მოხრილ ქართლელ გლეხს ეს ახალი უბედურებაც ეწვია...

ძნელია ჩვენის საზოგადოების გამოღვიძება ამგვარ შემთხვევებში. გვახსოვს, წინადაც რომ სწვევია ჩვენ ხალხს ასეთი რამ, ამტყდარა ლაპარაკი, მაგრამ საქმით ცოტა გაკეთებულა. იქნება ეხლა უფრო ცოცხლადა და გულწრფელად იგრძნოს ჩვენმა საზოგადოებამ თავისი მოვალეობა და მეტი ენერგია გამოიჩინოს. ჩვენის მეზობლების მაგალითს მაინც მივხედოთ. აი, ამას წინად ჩხარში ასამდე სომეხი გადაიწვა და აქაურმა სომხის საზოგადოებამ მაშინვე დამხმარე კომიტეტი შეადგინა და ბლომად ფულიც შეჰკრიბა; ბაქოსა და ნახიჩევნის ამბების დროს ხომ თავგამოდებით სომხობა შეუდგა დახმარების საქმის მოწყობას.

ასეთ საქმეში საჭიროა საზოგადოებრივ დაწესებულების თაოსნობა,—აი როგორიც ტფილისის საქალაქო თვითმართველობამ გამოიჩინა ბაქოსა და ნახიჩევანში დაზარალებულთა საშველად! ჩვენც მივმართავთ ტფილისისა, ქუთაისის, ბათუმის და ფოთის საქალაქო მმართველობათ ითავონ ეს საქმე და მოაწყონ ჩვენის სოფლელებისათვის დახმარება,—იმ სოფლელებისათვის, რომელთაც ასე ბევრი განიცადეს უკანასკნელ წლებში და თანაც ასე გამოფხიზლდნენ...

გ.

სოფლად

აფხაზეთი. ჩემს წერილებს აფხაზთა შესახებ ვიწყებ აძვიბჟის საზოგადოებიდან, რომელმაც სხვა სამ აფხაზთა საზოგადოებასთან ერთად ძლიერ მწარედ იგემა ბიუროკრატიის სულის შემხუთველ რეჟიმის ძალ-მომრეობა და უკუღმართობა. ამ საზოგადოებას შეადგენს ორი სოფელი—აძვიბჟა და ათარა, რომელნიც გაშენებულნი არიან მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზედ, ზღვის პირად. როგორც მოგეხსენებათ, რუს-ოსმალეთს უკანასკნელ ომას შემდეგ ადგილობრივ მკვიდრთ აფხაზებს აეკრძალათ ვითარცა „დამნაშავე-მოღალატე" ელემენტს შუაგულ აფხაზეთში—გუმისტის ნაწილში დასახლება და ცხოვრება. ამ რიგად აფხაზეთი დაანაწილეს და შუაში ჩაუსახლეს არა აფხაზები—ბერძნები, სომხები, ესტები, მეგრელები და სხვანი. უმეტესობა გუმისტის ნაწილის მცხოვრებთა სათათრეთში გაიხვეწა, უკეთ განდევნეს, და ვინც დარჩა, ან შემდეგ ისევ სათათრეთიდან უკან დაბრუნდა, ისინი დაარიგეს აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში—ბზიფში და აღმოსავლეთ ნაწილში—აბჟუაში. ასე ადვილად ასრულდა რომაელთა სიბრძნე: „გაანაწილე და ფლობდეო!" და კიდევაც ფლობენ.

სოფლები აძვიბჟა და ათარა უკანასკნელ ომიანობის დროს დედა-ბუდიანად აიკლეს სამურზაყანოდან უკან დაბრუნებულმა თათრის ჯარის კაცებმა. მცხოვრებნი სამი-ოთხი მოსახლის გარდა, რომელთაც მთა-ტყეს

ფელეტონი

პატარა ამბები

თავისუფალი სიტყვა.—აღელვებული ზღვა და აღელვებული ცხოვრება.—სალამი სიკვდილს.—სიკვდილში მეტი სიცოცხლეა, ვიდრე თვითონ სიცოცხლეში.—ერთობა და მისი მტერი.

„სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე როდესაც შემოვედი ევროპიდან რუსეთის სახელმწიფოში, საშინელმა მძიმე და უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო. გარედან თითქმის არაფერი შეცვლილა, იგივე მიწა, წყალი, ცა. მაგრამ მაკლდა რაღაც, რაღაცას ვეძებდი შეწუხებული ჩემს ფიქრებსა და გრძნობებში. რა იყო უცხოეთში, რა დარჩა იქ... რა?—წერილები, წიგნები, გაზეთები, მთელი ის თავისუფალი სიტყვა, რომელიც ვერ გამოშორდება ჩვენს საზღვრებს.

სიტყვა!.. ეს ხომ საფუძველია მთელი ქვეყნის, ყველაფრის, რაც კი არსებობს, რაც კი ცოცხალია: „პირველიდგან იყო სიტყვა!.." და, რასაკვირველია, სიტყვა იყო თავისუფალი, და მხოლოდ შემდეგ შეჰბორკეს და დაადგეს მძიმე უღელი კისერზე, როგორც შეჰბორკეს ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე.

თვალწინ მეხატება, როგორ ზის სტოლთან, ხშირად უვიცი, ადამიანი, რომელსაც პროტექციის შემწეობით უშოვნია ადგილი, და შლის და ამახინჯებს წითელის მელნით აზრებს, გონების უწმინდეს ნაყოფს. კიდევ კარგი, თუ მართლა უვიცი, გაუნათლებელი ადამიანია, „მაღალი პოლიტიკის" არა გაეგება რა და არ ჰკითხულობს სტრიქონებს შორის. მაგრამ ვაი, თუ იგი სინიდისიერი მოხელეა და ნასწავლი კაცი! კიდევ უარესი, თუ კარიერის გაკეთება უნდა!

რამდენმა გაიკეთა კარიერა ყირიმის ომებამდის. ყველაფერი ამოშალეს, ყველაფერი! თითქოს აღარაფერი დარჩა...

მაგრამ უცბად ყველაფერმა ამოჰყო თავი, და ყოველი პატარა წითელი ხაზი გადაიქცა წითელი სისხლის დიდ ნიაღვრად. ამოხეთქა და გაიშალა შებორკილი და შეხუთული სიცოცხლე. ამოსუნთქა და გაუნათა ყველას გული. ყველაფერმა სხვა ელფერი მიიღო, ვიხილეთ ადამიანი.

მერე? მერე კი... ისევ გაწითლდა ქაღალდი, წაიშალა ყველაფერი"...

ეს სიტყვები ეკუთვნის ერთს რუსის მწერალს. მათი აზრი ადვილი გასაგებია და არავითარი განმარტება არ სჭირია. ჩემის მხრით ვიტყვი მხოლოდ, რომ ისტორიამ იცის გაკვეთილების განმეორება, რომ უკეთ შეაგნებინოს ადამიანს ცხოვრება, მაგრამ ვაი იმას, ვინც ვერ ისარგებლებს განმეორებულის გაკვეთილითაც!..

**

„ზღვას ქარიშხალი ძლიერად ჰბერავს; ზღვა დუღს და ღელავს!" „ღელვაა დიდი... ძლიერი ქარი მძვინვარებდა ამ ჩვენს კუნძულზედ: მე არ მახსოვს, რომ კვლავ როდისმე ჩვენს კოშკის თავებს ესე ზანზარი შესდგომოდეთ ქარიშხლისაგან. თუ რომ ზღვასზედაც ამ გვარადვე მძვინვარობდა იგი, თავიანთ ჩარჩოს მუხის ბოძნი ვით შერჩებოდნენ, ვით გაუძლებდნენ მთის ტოლ ტალღებს, მათზე მოსულს"?!...

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობაც აღელვებულს ზღვას მოგვაგონებს: ქარიშხალი ახალი ძალა და გემი კი,—ძველი ცხოვრებაა! გაუძლებს ეს ცხოვრება მათზე მოსულ ტალღებს? საკითხავი აი ეს არის! მაგრამ არის კი საკითხავი?...

დიდებული სურათია, როდესაც განრისხებული ზღვა მთის ოდენა ტალღას ტალღაზედ სცემს, აღარ ეტევა თავის კალაპოტში და უნდა გადმოხეთქოს ნაპირებიდან და მთელი ქვეყანა წალეკოს. მკვდარი სტიქია, წყალი თითქოს ხორცშესხმული და სულიერი არსება მოუსვენრად დარბის აქეთ-იქით, ყვირის, იწვევს მტერს საბრძოლველად, უნდა დაამსხვრიოს რაც წინ ეღობება, აღარ ჰყოფნის თვალუწვდენელი თავისუფალი სივრცე და უნდა მეტი თავისუფლება, მეტი ასპარეზი, მეტი ჰაერი!

უგულო, მხდალს, დაჩაგრულ ადამიანსაც კი გაიტაცებს ზღვის ბრძოლა. ბევრს ადამიანს უნატრია ქარიშხალის გაძლიერება, ბევრს პოეტს მოუნდომებია, გადავარდნილიყო აღელვებულ ზღვაში, მოხვეოდა ტალღას კისერში და მის ბრძოლით აღსავსე გულზე ეპოვნა სიკვდილი...

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობაც აღელვებული ზღვა არის, ვამბობ. მაგრამ განა აღელვებულ ზღვაზე უკეთესი არ არის? სად შეუძლია უსულო ბუნებას მოგვაწოდოს უფრო წარმტაცი სურათი! განა რომელიმე ტალღა უფრო ძლიერია, ვიდრე აბობოქრებული საერთო სურვილი ხალხისა, სურვილი, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დაუდგება წინ? რომელ ქარიშხალს შეუძლია აამოძრაოს ქვეყანა ისე, როგორც ადამიანთა ერთობის და თანასწორობის აზრს? რომელი ბრძოლაა უფრო დიდებული, ვიდრე არის დღევანდელი ბრძოლა ახალ და ძველ ძალთა შორის?

არა, ბრძოლა ზღვის არასოდეს არ იქნება ასეთი! და თუ აღელვებული ზღვა თუ გვიზიდავს და გვეძახის თავის მებრძოლ ტალღებისკენ, ნუ თუ ვინმე უძრავად, უმოქმედოდ უნდა დარჩეს დღევანდელ აღელვებულ ცხოვრების წინაშე? მხოლოდ კუბოში ჩადებული მკვდარი თუ არ ამოიღებს ხმას!...

არ ამოიღებენ აგრეთვე ხმას გემებში ჩამსხდარი, არ ამოიღებენ, სანამ...

**

მაგრამ ბევრს, გონება დაჩლუნგებულს ადამიანს, თორმეტ დიუმიანი ყუმბარაც ვერაფერს გააგონებს!

ეჰ, მოახლოვდა დღე მათი აღსასრულისა და განისვენონ წიაღსა შინა აღმოსავლეთისასა. მე არ ვილაპარაკებ ახლა მათ შესახებ. ვილაპარაკებ ჩვენს დღევანდელ ისტორიულ ხანაზე, ისტორია იწყება მხოლოდ იქ, სადაც თავდება სიცოცხლე, და სანამ ვცოცხლობ, აღარაა ჯერ კიდევ ისტორია. დიდება მოიპოვების მხოლოდ სიკვდილით და სიცოცხლე არაფერს დიდებულს არ აძლევს ადამიანს.

სიკვდილი დიდებული და სახელოვანი საქმისათვის,—აი რა უნდა იყოს ჩვენი წინამძღოლი დევიზი. ვიდრე ვცოცხლობთ, არაფერის სახელოვანის და საშვილიშვილო საქმის გაკეთება ჩვენ არ შეგვიძლია. ჭეშმარიტს სახელს ადამიანი მოიპოვებს სიკვდილის შემდეგ და ადამიანი იბადება ნამდვილად მაშინ, როდესაც კვდება. სიკვდილს შეუძლია შეინახოს და დაიცვას ის, რასაც კი აქვს ფასი, რაც უყვარს კაცობრიობას. სიკვდილით მოპოვებულ სახეში ვხედავთ ადამიანთა წარსულს, წარსულს ცრემლებს და მწუხარებას, წარსულს სიხარულს და მეცნიერებას; სიკვდილით შემსუბუქებულა ადამიანთა ტანჯვანი, სიკვდილით მოპოვებულია ადამიანთა მხიარულება და სიკეთე, და ისტორია, ის ისტორია, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ, ვითვალისწინებთ, არის ისტორია მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილისა.

მგოსანმა სიცოცხლე კი არ უნდა შეამკოს, არა, სიმღერის საგანი სიკვდილი უნდა იყოს. გმირობა სიცოცხლე კი არ არის, გმირობა სიკვდილია. ეკლის გვირგვინით შემკულს, წამებულის თავს არასოდეს არ დაივიწყებს კაცობრიობა, არავინ არ უყვარს ასე. სიცოცხლე კი, როგორც უნდა იყოს, წარმავალია, წაიშლება, გაჰქრება.

მაშ სალამი სიკვდილს, სიკვდილს სახელოვანს, სიკვდილს საქმისათვის. სიცოცხლე აღ-

თავი შეაფარეს, თან სათათრეთში წაასხეს. ბედკრულ მოჰაჯირთა (სათათრეთში წაყვანილ აფხაზთა) უმეტესი ნაწილი იქ გასწყდა, ბევრიც, ქალიშვილები და ბავშვები ცხვრებსავით გაჰყიდეს, მხოლოდ ვინც გაყიდვასა და ულმობელ სიკვდილს გადარჩა, ისევ უკან დაბრუნდა თავისს სოფელში, სადაც ქვა-ქვაზედ არ დახვედრია. ესეც არ იკმარეს: იმათი საუკეთესო მოსავლიანი ადგილები—ზღვის პირი და ჭალები თავად-აზნაურობას დაურიგეს, და დახე ბედის დაცინვას: აძვიბჟელების სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული მამულები იმისთანა თავადებსაც მიეზომათ, რომელთაც მანამდის არც კი იცოდნენ ქვეყნიერებაზედ ამ სოფლის არსებობა,—დღეს კი საბრალო სოფელს ზღვისკენ მიმავალი ბილიკიც დაუხშეს.

სათათრეთიდან დაბრუნებული ტანჯული ხალხი ისევ ხელ-ახლა დასახლებას შეუდგა. მაგრამ ბედმა აქაც უმუხთლა: ადგილობრივი ადმინისტრაცია ნამდვილ, საზღაპრო ავდედინაცვლად გაუხდა. როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელი დიადი მოძრაობა აფხაზეთსაც კიდით-კიდემდე მოედო, რისთვისაც დიდად უნდა ვუმადლოდეთ იმავ ბიუროკრატიულს რეჟიმსა. იქ, სადაც სავსებით გამეფებული და დამყარებული ძალოუვიც პოლიციელთა თვითნებობისა, მათრახისა და მუშტისა, სადაც მმართველ კლასების დევიზად გამხდარა

ძალაა ქვეყნის მმართველი,
ჭეშმარიტება არს ძალა!

იქ ყოველი აზრი, ძმობისა და ერთობის მქადაგებელი, ადვილად იკიდებს ფეხს. ყოველ მხრივ ბედით დაჩაგრულ აფხაზთათვის ერთად-ერთი ნაპერწკალი-ღა იყო საჭირო, რომ გუზგუზა ცეცხლი გაჩენილიყო. გაჩნდა კიდეც. აწ მისი გაქრობა შეუძლებელია, თუ არ მოისპო გამომწვევი მიზეზები, დროებით კი შეიძლება დასცხრეს.

აქ ჩვენ მოხელეთა თვითნებობის მაგალითების ღნუსხვას აღარ შევუდგებით. არც საჭიროა: ყველამ იცის, რომ ასეთ თვითნებობას საზღვარი და თვლა არა აქვს.

ბედმა სხვა მხრივაც უღალატა საცოდავ აფხაზებს—აძვიბჟელებს: აძვიბჟელები და ათარლები მეწველ ძროხებად გარდაექცათ იქვე კოდორ გაღმა მცხოვრებ რუს მოახალშენეთათვის. აი საქმე რაშია. აძვიბჟის საზოგადოება გაჭიმულია მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე ზღვიდან მთებისაკენ 20—22 ვერსის მანძილზე. მდინარის გაღმა კი სამი ახალშენია: მოლდავანთა, ესტონელთა და რუსთა. აძვიბჟის საზოგადოებაში გადის ყველა გზები და ბილიკები, რომელნიც აერთებს ქალაქ სოხუმსა და სამურზაყანო-სამეგრელოს. სწორედ ამ გზებმა აუწერელი ტანჯვა-ვაება მიაყენა აძვიბჟელებს: მკითხველებს მოეხსენება, რომ აფხაზეთში ძალიან გავრცელებულია ქურდობა, თან ისიც მოეხსენება, რომ, თუ რუს მოახალშენეს რამე მოჰპარეს, დაკარგულ საქონლის ფასი უნდა უზღოს იმ საზოგადოებამ, რომლის მიწა მამულშიაც დაკარგულის კვალს მიიტანენ. რუს მეახალშენეს მშვიდობიანად ეძინა სრულიად დარწმუნებული, რომ იმას არაფერი დაეკარგებოდა, ან რატომ არ იძინებდა, რომ ყოველ დაკარგულ მქლე ცხენსა და ძვალ-ტყავად ქცეულ ძროხაში ას-ასობით ჩაათვლევინებდნენ აძვიბჟელებს. ყოველ ეროვნების ქურდ-ბაცაცები ეტანებოდნენ მეახალშენეთ საქონელს და დღისით—მზისით მიჰყავდათ, აძვიბჟელები-კი დაკარგულის ფასს უზღავდნენ პატრონსა. ამ რიგად აძვიბჟის საზოგადოებამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში მეახალშენეთა სასარგებლოდ ფულად ფული გადაიხადა ოცდაორი ათასი მანეთი. ორი ათასს თქვენი ჭირი წაუღია, და ოცი ათასი მანეთი რომ გავყოთ სამას მოსახლეზედ (ამ საზოგადოებაში სამასი მოსახლეა), გამოდის, რომ თვითოეულ აძვიბჟელსა, თუ ათარელს ყოველ წლიწადს უხდია ორთა შუა რიცხვით სამი მანეთი და $33^{1}/_{3}$ კაპეიკი. ამას ზედ დაურთეთ, თუ რამდენი ცდენა და ხეტიალი დასჭირდებოდათ აფხაზებს კვალის ძებნასა და ფულის გადახდაში. ამის შესახებ ერთმა აფხაზმა მითხრა: კვირაში ერთი დღე მაინც გვეკარგებოდაო. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ ერთისა და იმავე დაკარგულ საქონლის ფასი ორჯერ გადაეხადოს საზოგადოებას. ყოფილა ამისთანა შემთხვევა, მეახალშენეს ცხენი კლდეზედ გადავარდნილიყო და მომკვდარიყო, მის ფასს-კი აფხაზებს ახდევინებდნენ, მხოლოდ შემთხვევამ იხსნა: ვიღაც სოფლის ბიჭს ენახა მკვდარი ცხენი.

თვით აძვიბჟელებს რაც ეკარგებოდათ, იმის შესახებ კანონი არ არსებობდა. „თქვენ თვითონ ერთმანეთს ჰპარავთ, ჩვენ რა უნდა გიყოთო“, უპასუხებდა ადმინისტრაცია და ქურდის გზა ია-ვარდით იფინებოდა, რადგან კანონი არა სჯიდა. და ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეს, მკითხველო, რომ ერთს ქვრივს ცხრა წლის განმავლობაში 44 სული საქონელი მოჰპარეს, და ამის გამო არამც თუ „ნაჩალნიკს“, უბრალო ურიადნიკსაც თავი არ შეუწუხებია! აი თანასწორობა კანონის წინაშე!

არა ნაკლებ საჭირ-ბოროტო საკითხს აძვიბჟელთათვის შეადგენდა და დღესაც შეადგენს საბალახო: საზოგადოება სამ მხრივ კერძო „ნადელებითაა“ შემორტყმული, მეოთხე მხარეს-კი—ზემოხსენებული ახალშენებია. ყველაზედ უფრო ამ უკანასკნელებმა გაუჭირეს საქმე. აფხაზს გაექცა საქონელი და გადავიდა მეახალშენეთა მამულზე, სამი მანეთი უნდა მიართვა. თუ რამე ზიანი მიაყენა—მაშინ რამდენსაც მოითხოვს. „ჩვენ მეახალშენეთა საზღვარზედ მცხოვრებთ ერთიანად ამან მოგვწყვიტა თავი: მითხრა ამ ცნობების შეკრების დროს ერთმა აფხაზმა,—ამ ოთხი თვის განმავლობაში სამს კამეჩში ას-თორმეტი მანეთი გადამახდევინესო და მაშინ დავიფიცე—თავის დღეში კამეჩი არ გავიჩინოვო“, მწარე ამოხვრით დააბოლოვა აფხაზმა. შეწუხებულ აძვიბჟელებს არა ერთხელ უთხოვიათ მეახალშენეთათვის, ნება მოგვეცით თქვენს ადგილებს თხრილი და ღობე შემოვავლოთო, მაგრამ ამაოდ: „ეგრე სულელები ნუ გგონივართ, ჩვენის ნებით ასეთი შემოსავლის წყარო მოვსპოთო“.

არც კერძო მემამულენი აყრიდნენ აფხაზთ ხეირს.

ასეთი ბედი ეწვია აძვიბჟის საზოგადოებას.

ოჩამჩირელი.

ახალი ამბავი

◆ **ქვათახევის მონასტრის გაძარცვის** შესახებ გვატყობინებენ: გაძარცვეს მონასტერი 14 ამ თვეს, საღამოს 6—7 საათზე. ორი დღის წინად მონასტერში მისულა სამი კაცი. ბერებისათვის უთქვამთ, „სალოცავად მოვედით და ოჯახობასაც ურმებით ველითო. ბერები ჩვეულებრივ გამასპინძლებიან. წირვა ლოცვაზე ერთგულად უვლიათ სტუმრებს და გაძარცვის დღეს სეფის-კვერიც აუღიათ. შემდეგ ცოტას ხნობით სადღაც მიმალულან და იმ დროს, როდესაც ბერები თავთავიანთ სენაკებში ყოფილან, ყაჩაღები უკვე შეიარაღებულნი თავს დასხმიან და მუქარით ფულის და ეკკლესიის გასაღებების თხოვნა დაუწყიათ. როდესაც გასაღებები ხელთ უგდიათ, ბერების სენაკებისთვის კლიტეები დაუდვიათ, ბერები შიგ დაუმწყვდევიათ. ორი კაცი ეკკლესიაში შესულა, ერთი დარაჯად კარში ჩამდგარა. ორი ბერი უკანა სარკმელებიდან გადამძვრალიყო. ეს შეენიშნა კარში მდგომს, გამოსდგომოდა და ერთისთვის ორჯერ ესროლნა რევოლვერი, მაგრამ ვერ მოერტყა. გაქცეული ბერი სოფელ პარეტისში მიჭრილიყო და ეს ამბავი ეცნობებინა. იქიდან სოფელ წინარეხში ეცნობებინათ. ამ დროს უკვე შუაღამე მოტანებული ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მდინარე კავთურა მოდიდებული იყო და თან კოკისპირულად სწვიმდა, ხალხი მაინც გაეჩქარა მონასტრისკენ, მაგრამ რა თქმა უნდა, ის ვაჟბატონები იქ აღარ დაჰხვდებოდნენ. ხალხმა ბევრგან გზები შეუკრა, ტყეებში ეძება და მთელი ის ღამე თურმე ჩასაფრებული სდარაჯობდა ქურდებს: მეორედ არ მოვიდნენო. ამბობენ, ქურდები ძალიან ჩქარა წასულანო. წაუღიათ სახარება, ბარძიმ-ფეშხუმი, ჯვრები, ზოგიერთ ხატებისთვის ოქრო-ვერცხლი აუძვრიათ და სხვა. დაახლოვებით დანაკარგი თურმე ას თუმნამდეა. უმთავრესი ხატები ქვათახევის ღვთის მშობლისა და წმინდა გიორგისა ხელუხლებელიაო.

◆ არქიმანდრიტ ნერსესისაგან რუსულმა გაზეთებმა შემდეგი **დეპეშა მიიღეს ნახიჩევანიდან:** 18 მაისს ზანგეზურის მაზრის უფროს ავალიანთან ერთად ვიყავით ნახიჩ. მაზრის სოფელ გიუმრში. საზარელი სურათი ვნახეთ: 5 ათასი კაცი ხუთი სოფლისა 13 მაისიდან ალყა შემორტყმული იყო. რომ გვნახეს, ტირილი დაიწყეს, ცხენებს ჰკოცნიდნენ. თათრებმა გაძარცვეს ხუთი სოფელი. მოჰკლეს 20 კაცი,—უკვალოდ დაიკარგა 100 კაცი. გაძარცვეს ეკკლესიები.

◆ ტრამვაის დირექციას თავის მხრივ **სამედიატორო მოსამართლეებად** აურჩევია ნოტარიუსი ლ. ი. მღებროვი და ნაფიც ვექილის თანაშემწე ლ. ფ. ვოლკენშტეინი. როგორც ვწერდით, მოსამსახურეებმაც აარჩიეს მედიატორები. მედიატორები თავმჯდომარეს აარჩევენ და შეუდგებიან საქმის განხილვას.

◆ როგორც გვატყობინებენ, 26 მაისს ტფილისში მოხდება **სტუდენტთა კრება** სტუდენტ ნ. სულხანიშვილის საქმის განსახილველად. კომისია, არჩეული ამ საქმისათვის მასალის შესაკრებად, სთხოვს ბ-ნთ სტუდენტთ ბებურიშვილს, ქუთათელაძეს და აგრეთვე ყველას, ვისაც აინტერესებს ეს საქმე, დაესწრონენ კრებას.

◆ ტფილისის მეორე გიმნაზიაში შვიდი წელიწადია ეგზამენს იჭერს გერმანიის კონსულის აწ გარდაცვალებულის სპენნმანის ქალი ოლგა და ყოველთვის კარგად გადადიოდა ერთის კლასიდან მეორეში. წელს, სახალხო განათლების სამინისტროს ნება რთვით, ოლგა სპენნმანმა, 16 წლის ქალმა, გიმნაზიის მერვე კლასში დაიჭირა ეგზამენი და თითქმის ყველა საგანში პირველი ნიშანი მიიღო. ეხლა სამინისტროს ნება დაურთავს, ქ-ნი სპენნმანი შევიდეს უნივერსიტეტში რომელ ფაკულტეტზედაც სურს. რუსეთის **უნივერსიტეტში ქალის მიღება** პირველი მაგალითია.

◆ ბორჩალოს სამაზრო სამხედრო საკრებულომ 20 მაისს წარმოუდგინა ტფილისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს მოკლე ცნობები იმ ყმაწვილ კაცთა შესახებ, რომელთაც წელს უნდა **ამოიღონ კენჭი.** უნდა გამოცხადდეს 1043 კაცი, მათგან ქართველი 58, სომეხ-გრიგორიანი 530, სომეხ-კათოლიკი 65, ბერძენი—265, გერმანელი—29, რუსი—44, მალაკანი—45, დუხობორი—7. მათ რიცხვში ადგილობრივი მკვიდრნი 653 და გადმოსახლებული 390.

◆ ამ დღეებში ჩამოვიდა პეტერბურგიდან ახალგაზდა მომღერალი (ბარიტონი) დავით გედევანიშვილი, რომელსაც განზრახვა აქვს **ტფილისში კონცერტი** გამართოს. დ. გედევანიშვილს მონაწილეობა მიუღია ქართულად წარმოდგენილ „დემონში“, და საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია.

◆ ტფილისში **არსდება სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა,** რომელსაც აზრად აქვს ჰყიდოს მეჩექმეთა იარაღი და ტყავეულობა. საზოგადოებამ ხელ მასაწვდომ ფასად უნდა მიაწოდოს მასალა თავის წევრ ხელოსნებს. ამ წლის დამლევამდე ამხანაგობამ უნდა შეადგინოს ძირითადი თანხა 10,000 მ. ნ. ეს თანხა შეიძლება შემდეგ გადიდდეს. ამხანაგობის წევრთ შეუძლიანთ შეიძინონ უძრავ-მოძრავი ქონება და აგრეთვე განყოფილებანი იქონიონ კავკასიის პროვინციის ქალაქებში.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს კავკასიის **საფილოქსერო კომიტეტისთვის** წლევანდელი ხარჯი 25, 710 მანეთით შეუმცირებია. ამერიკულ ვაზის სანერგეების შესანახად სამინისტროს 9200 მან გადაუდვია მხოლოდ.

◆ 16 მაისს **განჯაში მოხდა ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები.** არჩეულ იქმნა 50 თათარი და 5 სომეხი.

◆ 18 მაისს კუკიაში, მისიონერთა ეკკლესიაში მეორე კრება ჰქონია **რუსულ პატრიოტულ** საზოგადოებას. დაუდგენიათ კრება ყოველკვირია მართონ ოთხშაბათობით.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს 1000 მან. გადაუდვია **ოძისის სანერგე ვენახის** გადასაკეთებლად.

◆ 20 მაისს მოხდა კრება ტფილისის **პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა.** კრებამ ერთხმად საზოგადოების საპატიო წევრებად აარჩია კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და იმისი თანაშემწე ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი. შემდეგ კრებამ დაამტკიცა ანგარიში. რადგან ეხლანდელ თავმჯდომარე საზოგადოებისა, გენერალ ფონ-პარკაუ ვარშავაში გადადის, 28 მაისს კრება მოხდება თავმჯდომარის ასარჩევად.

◆ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში სწავლა დაასრულა წელს 66 კაცმა და ექსტერნად ეგზამენი დაიჭირა 25-მა. ოქროს მედლით სწავლა დაასრულა 7 კაცმა, ხოლო ვერცხლის 1. ქართველმა დაასრულა წელს: ნიკოლოზ მორიანაშვილმა, გიორგი ნ. ტრაძემ, ალექსანდრე ოცხელმა, მიხეილ ამილახვარმა, გიორგი სასათიანმა (ოქროს მედლით), მიხეილ გომელაურმა, იოსებ ჟორჟაძემ, გიორგი მაჩაბელმა, ბესარიონ ოქროპირიძემ და ვასილ ხიდირბეგიშვილმა. ექსტერნად ეგზამენი დაიჭირა: იოსაშვილმა, ზაქარია კოტიაშვილმა, მიხეილ გუგალაძემ, ზაქარია კლიმიაშვილმა, ვახტანგ ქართველიშვილმა, სიმონ დორთქიფანაძემ, ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა, მიხეილ ყარანგოზიშვილმა, ნიკოლოზ თეიმურაზიშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა და ნიკოლოზ ნხეიძემ.

◆ 19 მაის ქაზბეგის ქალთა სკოლაში გამოცდამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა იქ მყოფი საზოგადოება, რომ სკოლა სასურველ ნიადაგზეა დაყენებული და მასწავლებლები მუყაითად ეკიდებიან საქმეს.

◆ ხვალ, 23 მაისისთვის, ვეტველის თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა. დრამატიულ დასის არტისტები წარმოადგენენ გუნიას დრამას „და-ძმას“.

◆ ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ დროებით შეწყვეტილი სწავლა მუხრანის სასოფლო სკოლაში (დუშეთის მაზრა), 1 მაისიდან განახლდა.

◆ ხვალ, 23 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია საქმეების განსახილველად ზაქათალაში მიდის. სესიის სხდომები ამ თვის დამლევამდე გასტანს.

◆ შემდეგი ამბავი მოხდა დიდუბეში: ერთ სასმელების დუქანში ქურდ-ბაცაცას მიეტანა ნაპარავი ნივთები და უნდოდა მალვით გაეყიდნა. ამ დროს შემთხვევით იქ მყოფთ კოლა მაღრაძეს და ლადო თურქესტანოვს ეჭვი აუღიათ, რომ ნაპარავ ნივთებსა ჰყიდდა. აუკიდინებიათ ნივთები, გამოუძღვიათ წინ და უთქვამთ, წაიღე იქ, საიდანაც მოიპარეო. თანაც ეზო და გზა უძხინებიათ, რომ ნივთები მე მოვიპარეო. ნივთები აღმოჩნდა რკინის გზის კონდუქტორისა.

◆ 21 მაისს ტფილისის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც ალექსანდროვის სამოსწავლო ინსტიტუტთან არსებობს, სწავლა დაამთავრა 28 კაცმა, მათ შორის ექვსი ქართველია.

◆ 20 მაისს, დღისით, ავლაბარში ტფილისის მოქალაქემ ივანე როსტომოვმა რევოლვერით დასჭრა ელისაბედ ბრაიტმანი. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

ქუთაისის ქალაქის საქმეები

მადლობა ღმერთს: 16 მაისს ადვილად შესდგა ქალაქ ს საბჭოს კრება და ხმოსნების ძებნა კლუბსა და გასართობში აღარ დასჭირვებიათ. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავის მოადგილე გრ. ი. გველესიანი.

საბჭოს მოხსენდა გუბერნატორის წინადადება საობლიგაციო სესხის შესახებ. გუბერნატორი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა უმთავრესი სამმართველო თხოულობს, რომ საბჭომ დაწვრილებით განიხილოს საკითხი შესახებ იმისა, თუ რამდენად უზრუნველყოფილი იქმნება ქალაქის მიერ ნათხოვნ საობლიგაციო სესხის სარგებლისა და ყოველ წლიურ დასაფარავ ჯამის გადახდა, რომელიც უდრის წლიურად 28,500 მანეთს, მასთან ისიც აღნიშნოს, დაახლოვებით რამდენ შემოსავალს მოელის ქალაქი ყოველ წლიურად იმ საქმეების განხორციელებით, რასაც უნდა დაახარჯოს საობლიგაციო სესხი. სამმართველო სთხოვს გუბერნატორს, საბჭოს დადგენილება ხსენებულ საკითხის შესახებ წარუდგინას შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც უნდა აცნობოს თავისი აზრიც შესახებ იმისა, თუ რამდენად შესაძლებელი იქმნება ქალაქისათვის ყოველ წლიურად 28,500 მანეთის გადახდა ისე, რომ სხვა სავალდებულო ხარჯებს ხელი არ შეუშალოს.

გუბერნატორის წინადადების გამო ქალაქის გამგეობამ წარმოუდგინა საბჭოს მოხსენება, რომელშიაც აღნიშნულია: რომ ქალაქი თხოულობს საობლიგაციო სესხს 475,000 მანეთს, $36^{1}/_{2}$ წლის ვადით; ამ ხნის განმავლობაში ქალაქმა უნდა იხადოს ყოველწლიური 5% და თავნის დასაფარავი 1%; ქალაქს ჰქონია ამ ჟამად ვალი სულ 102,531 მან.; მისი წლიური შემოსავალი კი უდრის 271,028 მანეთს. ქალაქის მამულების მთელი ღირებულება ყოფილა დაახლოვებით $2^{1}/_{2}$ მილიონი მანეთი (ამ რაოდენობაში არ შედის იმ მამულების ფასი, რომელიც საზოგადო სარგებლობაშია, როგორც, მაგალითად: ქალაქის ბაღი, მოედნები და სხვა ამგვარები). რაც შეეხება ყოველწლიურად 28,500 მანეთის გადახდას, გამგეობა იმ აზრისაა, რომ ქალაქს ასეთი რაოდენობის გადახდა არ გაუჭირდება, რადგან იმ საქმეების განხორციელებით რასაც საობლიგაციო სესხი უნდა მოახმაროს, ქალაქს შემოუვა ყოველ წლიურად არა ნაკლებ 32,154 მანეთისაო. მასთან, ქალაქი ჯერ-ჯერობით სულ არ გაანაღდებს ობლიგაციების და არც 28,500 მანეთის გადახდა დასჭირდებაო, მაგრამ, კიდეც რომ ერთბაშად გაანაღდოს, მაინც ადვილად შესძლებს ყოველ წლიურად იხადოს 28,500 მანეთიო

დ. ნ. აბდუშელიშვილი და კ. ბ. ლორთქიფანიძე შიშობენ, ქალაქის მამულების ღირებულება მეტად გაზვიადებულია და ვაი, თუ მთავრობამ ამ დაფასების მიხედვით მოითხოვოს ქალაქისაგან სახელმწიფო და საერობო გადასახადიო. გ. ი. გველესიანი უსაფუძვლოდ სთვლის შიშს, ვითომც მთავრობა გაგვიგებს ჩვენს შეფასებას და დიდს გადასახადს დაგვადებსო: გადასახადს ადებენ მამულს იმისდა მიხედვით, თუ რამდენი აქვს წლიური შემოსავალი, და არა მამულის მთელი ღირებულების მიხედვით. ჩვენი მამული თუმცა ძვირფასია, მაგრამ ამ ჟამად შემოსავალი კი არა აქვს შესაფერი. ამავე აზრისაა ვ. ი. ჭილაძე. უკანასკნელი დიდ საყვედურს უცხადებს ქალაქის გამგეობას, რომ იგი ასეთ სერიოზულ საკითხების განხილვის დროს, როგორიცაა, მაგალითად, საობლიგაციო სესხი, არ იწვევს ქალაქის საფინანსო კომისიას. არამედ თვითონ დასწერს რაღაც მოხსენებას და ჰსურს საბჭოში ხმის ამოუღებლად გაატაროს. ამგვარადვე საბჭოს მიერ განუხილველად ქალაქის გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს ქალაქის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვაო. გ. ი. გველესიანი სრულიად უსაფუძვლოდ სთვლის ბ-ნ ჭილაძის საყვედურს გამგეობის მიმართ, საყვედური გამგეობას კი არა, საფინანსო კომისიას ეკუთვნის, რომელიც არასოდეს არ იკრიბებოდა

დია. ძნელია სიკვდილი და ამ სიძნელეშია მისი ძალაც. ჩემს უძვირფასეს მეგობარს არაფერს არ ვურჩევდი, არაფერს არ ვუსურვებდი ისე, როგორც: მოკვდი დიდებულადთქო! მე არ ვისურვებდი, რომ იცხოვროს დიდებულად და არა მოკვდეს კი დიდებულად. არა, სიცოცხლე ადვილია! მოიქმედე ის, რაც ძნელია, რაც უფრო ნაყოფიერია, უფრო სახელოვანია და დაუვიწყარი!

გერმანელ დრამატურგს ჰაუპტმანს აქვს ერთი პიესა (კრამერი), სადაც მამას მხოლოდ სიკვდილი აუხელს თვალს და სიკვდილის შემდეგ დაინახავს თავის შვილის დიდებულ ბუნებას: ვიდრე ცოცხალი იყო ფიზიკურად მახინჯი შვილი, მამა ყურადღებას არ აქცევდა, შვილსაც არ სთვლიდა, მაგრამ როდესაც შეურაცხყოფილმა შვილმა მოიკლა თავი, მამამ ერთიან შეიცვალა აზრები და მკვდარი შვილის წინაშე რომ დგას, ხედავს უსულო გვამში უდიდეს, ნამდვილი სიცოცხლის სახეს.

იბსენის ჰედდა გაბლერი სთხოვს ძვირფას ლემანს, ლამაზად მოიკლა თავიო. პირველის შეხედვით, ეს თითქოს ახირებული აზრია, მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, დიდი სიმართლე იმალება შიგ. განა შეგვიძლია ვისურვოთ არა-ლამაზი სიკვდილი იმისთვის, ვინც ჩვენთვის ძვირფასია? და ლამაზი სიკვდილი კი ყველაფერზე ლამაზი არ არის? მაგრამ ნუ იქნება ეს სილამაზე გარეგანი, არამედ იყოს სულიერი, შინაარსიანი, იყოს სიკვდილი თავ-განწირული სახელოვანი საქმისათვის.

ნუ გავექცევით სიკვდილს! სხვა არა იყოს-რა, ვისაც არ შეუძლია სიკვდილი, იმას არ შეუძლია სიცოცხლეც, იგი მუდამ მონა იქნება, მოკლებული თავ-მოყვარეობას, პიროვნებას. მხდალს არ შეუძლია პირდაპირ შეხედოს სიმართლეს და უნდა იცხოვროს გაიძვერობით, მატყუარობით, მათხოვრობით. ნუ გავექცევით სიკვდილს, რადგან მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი უფლება, ჩვენი ადამიანობა: ის უფლებაა მხოლოდ ჩვენი, რომლის დასაცველად მუდამ მზად ვართ, თავი გავწიროთ.

ნუ გავექცევით სიკვდილს! წინ მივეგებოთ სიკვდილს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ მოგვანიჭოს ნამდვილი არსებობა, წინ წასწიოს კაცობრიობა! და კიდევ სალამი სიკვდილს და თავგანწირვას, რომელსაც მოითხოვს ჩვენგან საქმე!..

* *

ვლაპარაკობ სიკვდილზე და არ შემიძლია, არ ვილაპარაკო სიკვდილის შესახებ დღეს, როდესაც ყველაფერი ასე ამოძრავებულია, ყველაფერი შერია და არავინ იცის, თუ ხვალინდელს დღეს რა მოჰყვება.

ვის შეუძლია სთქვას, ხვალ რა მოელის. გაჰქრა ძილი, მოსვენება და ვისი სადაროც სავსეა ყოველივე სიმდიდრით, შიშის ზარს შეუპყრია, გულ დამშვიდებით ვერ გაუვლია ქუჩაში. ვინც ბატონობდა და ვის წინაშე თავდაუხრელად არავის შეეძლო გავლა, დღეს თვითონ თავჩაღუნული მწარე ფიქრებს მისცემია. ერთი მეორე ვერ სცნობს, დაიკარგა წინანდელი ურთიერთობა და დამოკიდებულობა: მონას არ უნდა მონობა, ტვირთ მძიმენი და მაშვრალნი ხმა მაღლა მოითხოვენ სასამართლოს და პასუხის საგებლად მოიწვევენ მჩაგვრელებს...

შეირია ყველაფერი, დაირღვა წესიერება, აირდაირია უფროსი და უმცროსი, ხალხი და საზოგადოება, ერი და ბერი. არ არის სამართალი, არ არის კანონი, არ არის უფლება, რომელსაც უნდა ემორჩილებოდნენ, რომელიც უნდა წინამძღოლობდეს. რაც არსებობს, არავის არა სწამს, არავის არა აქვს მისი იმედი. ვინც უფროსობს და ბრძანებლობს, ყველაზე უფრო იმას არა სწამს თავისი უფროსობა და ბრძანებლობა. რაც დღეს გამოცხადებულია სავალდებულოდ, ის ხვალ უარყოფილია, როგორც მავნებელი და შეუფერებელი. რაც დღეს დაწუნებულია, ხედავთ, რომ ხვალ იგი წინ წამოხტება და ყველამ მუხლები უნდა მოიდრიკოს მის წინაშე. სად არის კანონი? ეძიებდეთ და ჰპოვებთო, ამბობს სადმრთო წერილი. მაგრამ რამდენი ხანია, რამდენი კაცი ეძებს კანონს, ხოლო ვერავის ვერსად ვერ უპოვნია იგი. სად არის სამართალი? გვარწმუნებდნენ, რომ დედამიწაზე არც უნდა იყოს სამართალიო; სამართალი ღვთიური დაწესებულებაა და ღმერთთან უნდა იყოს საიქიოსო. ვეძებდით თავისუფლებას... მაგრამ სიტყვა თავისუფლება ამოშლილი იყო წითელის მელნით!

ვეძებდით—ვითხოვდით, ჩვენს თხოვნას ყურადღებას არავინ აქცევდა. მაგრამ დღეს უკვე აღარავინ არაფერს თხოულობს, აღარ კადრულობს... სხვა დრო დადგა. დრონი იცვლებიან და ოღონდაც რომ იცვლებიან!

წინად იმის ბედნიერება მაინც ჰქონდა ყველას, რომ პოლიციის კაცები ავაზაკებისა და ყაჩაღებისაგან იფარავდნენ გამვლელ-გამომვლელს. ახლა კი იმის იმედიც აღარა დარჩა. პოლიცია ვერავის იცავს და ხშირად საჭირო ხდება თვითონ პოლიციისაგან თავის დაცვა. გაჩნდნენ ხულიგანები, სხვადასხვა შავი რაზმები, რაზმები კეთილ-შობილთა და არა-კეთილშობილთა, რომელნიც ყაჩაღთა ბრბოსავით დათარეშობენ სოფლად და ქალაქად, იცავენ ძალმომრეობასა და უსამართლობას, სდევნიან მართალს და ჩაგრულს, სთესავენ მტრობას და სიძულვილს, ერთის ერის ხალხს ამხედრებენ მეორე ერის ხალხზე,—რუსული და ჩვენებური გაზეთები სავსეა ამის მაგალითებით.

* *

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, ეს იყო სამი თვის წინად,—ბაქოს საშინელ სურათების შემდეგ მე ვწერდი უდანაშაულოდ და უმიზეზოდ დაღუპულის ძმების შესახებ.

ახლაც განმეორდა მსგავსი ამბები ნახიჩევანში, ახლაც წამოჰყვეს თავი ბოროტმა ძალებმა და ხელ-მეორედ დაინთხა ძმის სისხლი ძმის ხელისაგან. არ გამქრალიყო ჯერ მთლად ბაქოს შესაზარი შთაბეჭდილებანი, მაგრამ გულს ვიმშვიდებდით, რომ ეს იყო წუთიერი და უდანაშაულოდ განწირული მსხვერპლი უკანასკნელად შეეწირებოდა კავკასიელთა ერთობის მტერსა და ხალხთა შორის მხეცობის და ძალ-მომრეობის მქადაგებელს.

მაგრამ კიდევ ცოცხალია დაუძინებელი მტერი, აღარ ცხრება, აღარ ურის იარაღს, იკრეფს უკანასკნელ ძალებს, ძალებს ბოროტებისას და სიბნელისას და არავითარ საშუალებას არ ერიდება, რომ შეირჩინოს ძველებური ბატონობა, რომ ხალხები და ადამიანები ერთმანეთს სჭამდნენ და ურთერთ ბრძოლაში, ურთიერთის ჭამაში ივიწყებდნენ თავიანთ უბედურების ნამდვილს მიზეზს.

ბოროტო ძალო! უკანასკნელად იბრძვი ჯოჯოხეთის სამეფოს დასაცველად! უკანასკნელ საშუალებას მიჰმართე! უკანასკნელი ტყუია გასროლე და დაგავიწყდა, რომ იმის იქით აღარაფერი გრჩება! ეგ არის, ეგ იყო შენი უკანასკნელი იმედი, გაჰქრება ეგეც და გაჰქრება შენი სახსენებელიც!

დასთესე მტრობა ძმათა შორის, რომ ამ მტრობით გესარგებლა შენის საკუთარის ინტერესებისათვის! მაგრამ ეგ ძალად გადამტერება უფრო მჭიდროდ შეაერთებს ძმებს და უფრო ძლიერად შეკავშირებულის და შეერთებულის ძალით გამოგცემენ პასუხს!

შური, სიძულვილი, ქიშპობა, ღალატი! უქადაგებდი ყველას, მაგრამ შენი ქადაგება მეტად ხან-მოკლეა და მათ ნანგრევებზე, შენის მეოხებით დანთხეულ ძმათა სისხლზე უფრო მალე ამობრწყინდება დიდებული ერთობა და ძმური ერთობა!

სიტყვა.

ქალაქის გამგეობის მოწვევაზე, და ქალაქის ხმოსნებს, რომელნიც საბჭოს კრებებს არ ესწრებიან და იძულებულად ხდიან ქალაქის გამგეობას საბჭოს მიერ განსახილველი საქმეები გუბერნატორს წარუდგინოს გადასაწყვეტადო.

გამგეობის წევრი ვ. ნ. კანდელაკი ჰპირდება საბჭოს, თუ სიტყვას მოგვცემთ, რომ შეიკრიბებით ქალაქის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის განსახილველად, რომელიც ამ ჟამად, სამწუხაროდ, გუბერნატორს აქვს წარდგენილი, ვეცდებით, რომ საქმე უკანვე დაგვიბრუნონო. ქალაქის საბჭო სდუმდა: ეტყობოდა, არაფრად იამა ბ-ნ კანდელაკის წინადადება: ვაი, თუ მართლა უკანვე დაგვიბრუნონ თავიდან მოცილებული საქმე და უპირო საქმე საპიროდ გავიხადოთო. ამიტომ ისევ ის ამჯობინა, რომ გამგეობის მოხსენება ერთხმად მიეღო და შეეწყვიტა დაწყებული კამათი.

წაკითხულ იქმნა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრების მიერ ამ წლის მარტში შემუშავებული პეტიცია, რომელიც სამღვდელოებამ უკვე წარუდგინა მინისტრთა კომიტეტს. კრების თავმჯდომარე მღვდელი ს. მჭედლიძე სთხოვს ქალაქის საბჭოს, რომ მანაც მხარი დაუჭიროს სამღვდელოებას მინისტრთა კომიტეტში საბჭომ ერთხმად მიიღო სამღვდელოების თხოვნა.

უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა ყასბების თხოვნა ხორცზე ნიხრის მომატების შესახებ. დიდი ეშმაკი და მოხერხებული ხალხია ეს ყასბები: ისე, სათქმელად თხოულობენ ნიხრის მომატებას, თითქოს ნიხრს დიდს ყურადღებას აქცევდნენ, თორემ ნამდვილად მათთვის არავითარი ნიხრი არ არსებობს და, როგორც ნებავთ, ისე ჰყიდიან ხორცს.

საბჭომ მიიღო სხაფთიაქო კომისიის წინადადება ქალაქის აფთიაქში ორი კასირის დაქირავების შესახებ. კასირებად ქალები უნდა იქმნენ. თითოს ექმნება ჯამაგირად თვეში 15 მანეთი.

პროფესორის მარის პასუხი

მღვ. ვოსტორგოვს

ამას წინად ჩვენს მკითხველებს გავაცანით მღვდელ ვასტორგოვის წერილი, რომელიც დაიბეჭდა უწმ. სინოდის სამოსწავლო ჟურნალს „ნარ. ობრაზ.“-ში. მკითხველებს, ეჭვი არ არის, ეხსომებათ, როგორის ეპიტეტებით მოიხსენია მღვდელმა ვოსტორგოვმა არა მარტო ქართველები, არამედ ყველა ის ერები, რომელნიც კავკასიაში სცხოვრობენ· ამ მღვდლის აზრით, ქართველები, ოსები, ბერძნები, სომხები და სხვანი უზნეო, გაფუჭებული, დაცემული და თითქმის ველური ხალხია. ცოტა ხეირიან ხალხად გალაღებულმა მღვდელმა მხოლოდ აფხაზები ჩასთვალა. ამასთან ვოსტორგოვი, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე ჰქონდა ჩაბარებული, თავის წერილში შეეხო აგრეთვე საქართველოს წარსულს, ეკკლესიას, ენას, ლიტერატურას, კულტურას და ყველა ეს ისე დაამახინჯა, რომ ნება უნებურად გაოცდებოდით.

ეხლა გაზეთ „რაზვეტ“-ის ორ უკანასკნელ ნომერში (14 და 15 მაისისა) დაბეჭდილია პროფ. ნ. მარრის დიდი საპასუხო წერილი. თავშივე პატივცემული პროფესორი ვოსტორგოვის წერილს ულირს პამფლეტს ეძახის და ნათლად, აშკარად ამტკიცებს ორ რამეს: ერთი იმას, რომ ავტორი წერილისა ყოვლად უვიცია, რომ ამ ავტორმა არა იცისა-რა საქართველოს წარსულის, იმის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის და აწმყოს შესახებ და მეორე იმას, რომ მღ. ვოსტორგოვი ეკკლესიასა და სწავლა-განათლებას-კი არა, პოლიტიკანობას უფრო ემსახურებოდა, რისთვის არავითარ საშუალებას და ღონეს არ ერიდებოდა. გაკვრით ავტორი ეხება მართვა-გამგეობის სისტემასაც, იმის უვარგისობას, ადგილობრივ მკვიდრთა, მათ სულიერ და ქონებრივ ინტერესების აბუჩად აგდებას. შედეგად ყველა ამას ის მოჰყვა, რასაც დღეს შინაურნიც და გარეულნიც ნათლად ვხედავთ და ვგრძნობთო.

რუსეთის ქრონიკა

სტამბების პატრონთა პროტესტი. ფინლიანდიიდან სწერენ გაზ. „ნ·“-ს, რომ ადგილობრივ სტამბების პატრონები შეერთებულან ცენზურის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. მიზეზი პროტესტისა ის არის, რომ ამას წინად დასჯილ იქმნა ორი გაზეთი ფინურ ენაზე და ცენზურა სულ უფრო და უფრო სასტიკად ექცევა ფინურ ჟურნალ-გაზეთებს, არ აძლევს განცხადებების ბეჭდვის ნებას, რათა ქონებრივად დაასუსტოს გამომცემელნი და ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალოს. ამ სისასტიკის წყალობით ბევრი ასოთ-ამწყობი დარჩა უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ. ჰელსინგფორსის მესტამბეების პროტესტი, ბევრთაგან ხელ-მოწერილი, ადგილობრივ დიდ გაზეთშია დაბეჭდილი.

სარწმუნოების თავისუფლების შედეგი. „ინ. ბ.“-ი იუწყება, რომ სარწმუნოების თავისუფლების გამოცხადების შემდეგ მრავალმა უნიატმა მიიღო რუსეთში კათოლიკე სარწმუნოება. ერთ სოფელში 680 მცხოვრებთაგან 678-მ გამოიცვალა სარწმუნოება. სედლეცისა და ლიუბლინის გუბერნიაში ამ ბოლო დროს 26 ათასმა უნიატმა მიიღო კათოლიკე სარწმუნოება. უნიატთა სამღვდელოებამ გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ბრალსა სდებს გლეხებს და კათოლიკე სამღვდელოებას, უწესოებას სჩადიხართო.

სასამართლოს თავმჯდომარის თვითნებობა. მწერლის მაქსიმ გორკის დამცველმა მიმართა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეს თხოვნით, რათა მიეცათ მისთვის პირი სასამართლოს დადგენილებისა იმის კლიენტის შესახებ. დამცველს კანონიერი უფლება ჰქონდა მოეთხოვა ეს ქაღალდი, მაგრამ თავმჯდომარემ მკაცრად კილოთი უარი უთხრა. გრუზენბერგმა უჩივლა მთავრობას მიმართა თხოვნით. საქმე გამოიძიეს, ვექილის უფლება კანონიერად იცნეს და აიძულეს სასამართლოს თავმჯდომარე მიეცა გრუზენბერგისათვის ნათხოვნი ქაღალდი.

ზომები უწესოების წინააღმდეგ. ვარშავაში უწესოების განახლებას ელიან და ამის გამო მთელი ვარშავა ექვს სამხედრო ნაწილად გაჰყვეს. თვითეულ ნაწილის უფროსად პოლკოვნიკია დანიშნული. პოლიციის ბოქაულებს დაევალათ, ყოველდღე მოხსენება წარუდგინონ სამხედრო უფროსებს და, თუ რამე უწესოება დაიწყო, დაუყოვნებლივ აცნობონ ქალაქის დაცვის უფროსს.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშთა სააგენტოსაგან“

21 მაისი.

ტოკიო, 21 მაისი (რეიტ.). ტოგოს მეცხრე მოხსენება: „კრეისერებს „ივატე“-სა და „იაკუმო“-ს ტროშიმასა და შანხაის შორის არ დაუნახავთ რუსების გემები. კონტრ-ადმირალ შიმამურას მოხსენებით, მისმა საფლაგმანო გემმა „ივატე“-მ, რომელმაც ძლიერი სროლა აუტეხა კრეისერ „ჟემჩუგ“-ს 14 მაისს, ნაშუადღევს, უეჭველად ჩასძირა იგი. იაპონელების სიტყვით ერთ მიზეზთაგანი რუსების დამარცხებისა ქარის ცუდი მიმართულება იყო. მზე რუსებს თვალებში აჰყიატებდა, იაპონელებს-კი ზურგიდან ჰქონდათ მოქცეული; იაპონელები ისროდნენ იქითკენ, საითკენაც ქარი ჰქროდა. ჰფიქრობენ, აუცილებელი იყო ნებოგატოვის მტრისთვის თავის დანებება, რადგანაც ყუმბარები მთლად გამოელიაო. ეტყობა, რომ როჟესტვენსკი არ ელოდა იაპონიის ფლოტის ცუსიმის სრუტეში შეხვედრას. იაპონელები რომ რუსებს აჯობებდნენ, ეს რუსებთან შეხვედრისთანავე აღმოჩნდა. „ტაიმს“-ი იუწყება, იმპერატორმა ბრძანება გასცა გაანთავისუფლონ ნებოგატოვი, რათა მან ხელმწიფეს ბრძოლის შესახებ პირის-პირი მოხსენება წარუდგინოსო“.

სასებო, 20 მაისი. (დეილი-ტელეგ.). ჰფიქრობენ, რომ ნებოგატოვი რამდენსამე დღის შემდეგ წავა. იაპონელების ორი კრეისერი გაგზავნილი იყო ზღვაში გადავარდნილ რუსების საძებნელათ; ისინი 19 მაისს დაბრუნდნენ და მოიყვანეს 60-ზე მეტი კაცი. ტყვეების საერთო რიცხვი 5000-ა. როჟესტვენსკის უვლის საგანგებოთ მისთვის დანიშნული მოწყალების და. მას იაპონელი საზღვაო ექიმები სწამლობენ. იმედი აქვთ მისის მორჩენისა. როჟესტვენსკის შტაბის უფროსი ცოტათია დაჭრილი.

ნაგასაკი, 20 მაისი. (დეილი-ტელეგ.). აქ მოვიდა 8 ექიმი, 7 მღვდელი და 20 არა სამხედრო პირი, ტყვეთ წამოყვანილნი საზღვაო ბრძოლის დროს; ყველანი საფრანგეთის კონსულს გადასცეს სამშობლოში გასაგზავნად; წავლენ აქედან 23 მაისს.

ვაშინგტონი, 20 მაისი. კასინიმ რუზველტი ინახულა. გაზეთების სიტყვით რუზველტმა იმედი გამოსთქვა, რომ რუსეთი მალე ჩამოაგდებს ზავს; მან განაცხადა, რომ რუსეთისთვის იაპონიის პირობების გაცნობა ახლა უფრო უმნიშვნელოა, ვინემ რუსეთისაგან გადადგმული ნაბიჯი, რომელიც მოასწავებს მისს თანხმობას ბოლო მოეღოს უსარგებლო ცლეტვა-ხოცვასო; მან აღუთქვა სამსახურის გაწევა.

ლონდონი, 20 მაისი. ნიუტონმა განაცხადა პალატაში, რომ ის არაა კმაყოფილი ავგანისტანთან ინგლისის ხელშეკრულებით; მისის აზრით ინგლისს ნება უნდა აელო ბრიტანიის ავიცრების ავგანისტანში' გადასაყვანათ, რათა იქ ავგანისტანის არმია შეედგინათ; აგრეთვე ტელეგრაფი უნდა გამართულიყო ავგანისტანის მთავარ ქალაქებსა და ინგლისს შორის; დიდი შეცდომა იმის ფიქრი, რომ რუსეთი ხელს აიღებს ცენტრალურ აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მოქმედებაზე, რადგანაც ის დამარცხებული გამოვიდა შორეულ აღმოსავლეთიდანაო.

ბარცელონი, 19 მაისი (ჰავასი). საღამოს ხუთს საათზე სამხედრო გუბერნატორის სასახლესთან ყუმბარა გასქდა. ზარალი დიდია. დაიჭირეს 10 კაცი. მათში ორი იტალიელია.

სევასტოპოლი, 20 მაისი. ადგილობრივ გაზეთების რედაქციებმა შემოიღეს დასვენება ასოთ-ამწყობთათვის ქვირა-უქმეებში.

პეტერბურგი, 20 მაისი. სახელმწიფოს საქმეების მოსაწესრიგებლად მცხოვრებთ წარმომადგენლების მოწვევის შესახებ წინასწარი მოსაზრებანი უკვე გაათავა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და გადასცა მინისტრების საბჭოს განსახილველად.

„რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან“

21 მაისი

ლონდონი, 20 მაისი. („დეილი-ტელ.“). მოჯიდან იუწყება ბრძოლის მნახველი, რომ უმთავრესი ბრძოლა 14 მაისს დაიწყო დილისითო. ზარბაზნის სროლამ 12 საათ. გასტანა. კვირას, ხუთმეტ მაისს, იგი შესუსტდა ღამის 2 საათზე; გათავდა სულ თექვსმეტ მაისს დილით. რუსებს 30 გემი ჰყავდათ, რომელნიც პირდაპირ ცუსიმასკენ მიდიოდნენ. იაპონელები დაუყოვნებლივ დარწმუნდნენ, რომ რუსებს ძლიერი იმედი ჰქონდათ ტოგო დაიმალაო. ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ რუსები არ იყვნენ დარწმუნებულნი, სად იმყოფებოდა ტოგო. ნაშუადღევის 2 საათზე იაპონელებმა პირველად გაისროლეს. თითქმის არც ერთი ყუმბარა არ აუცილებიათ იაპონელებს მიზნისთვის; 13 წუთის შემდეგ რუსებმა ორი ყუმბარა გაისროლეს, მაგრამ მანძილი ნამეტანი დიდი იყო; როცა საშინელი სროლა ატყდა, მაშინ რუსებს კიუ-სიუს კუნძულის ნაპირისაკენ დაახვევინეს. ისინი აღმოსავლეთისკენ გაემართნენ, იაპონელები-კი ჩრდილოეთისკენ საფლაგმანო ჯავშნოსან „მიკაზა“-ს თანხლობით. რუსის „ბოროდინო“-ს ტიპის გემზე ცეცხლი გაჩნდა, რის შემდეგ რუსებმა დასავლეთისკენ მიუხვიეს; აგრეთვე მოიქცნენ იაპონელნიც. იაპონელების მეორე დივიზიამ დაუშინა ყუმბარები რუსებს და იმავ დროს გვერდით მოექცა რუსების ფრონტს, გაგზავნა რა გემები წინა რაზმების შესავიწროებლად. იაპონიის მესამე დივიზია-კი უკანიდან მიდიოდა და ამასთან რუსები მთლად გარსშემორტყმულები აღმოჩნდნენ; სცადეს გაჭრილიყვნენ, მაგრამ კონტრ-ნალმოსნები დაეცნენ. ასე გაგრძელდა მეორე დღემდე, როცა სიგნალი იქნა მიცემული ცეცხლი წაუკიდეთ რუსის ყველა გემებსო. რუსებმი საშინელ სროლას უტეხდინ პატარა გემებს, რომელნიც მათ გარშემო ჩნდებოდნენ. ეს იმიტომ ჰქნა ტოგომ, რომ ყუმბარები გამოელევინებინა რუსებისათვის. ამ საშუალებით მან ჰისარგებლა, რამდენადაც შეეძლო. გაუსწრებდნენ თუ არა რუსებს, იაპონელები მაშინვე გარს შემოერტყმოდნენ მტერს; რუსების ის გემები, რომელნიც წინ წასული ამხანაგებს მისდევდნენ გინფანტნენ გზაში და ზოგი ჩასძირეს, ზოგიც დაატყვევეს იაპონელებმა.

შანხაი, 20 მაისი. რუსის აფიცრების ნაამბობიდან, რომელნიც აქ მოვიდნენ სხვა და სხვა გემზე ის დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ როჟესტვენსკის უბრძოლველად უნდოდა გაჭრილიყო ვლადივასტოკს, თუმცა სადლის კუნძულებთან დგომის შემდეგ შეუძლებელი იყო გზაში მტრისაგან დამალვა. ნაღმების პირველმა იერიშმა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ შეახვევინეს გზა რუსებს, საცა იაპონელებს ნაღმები ჩაეწყოთ რომლებსაც წააწყდნენ „ბოროდინო“, „კნიაზ სუვოროვი“ და „იმპ. ალექსანდრ III“ ტყუილია ის აზრი, ვითომც გემების ჩაძირვა წყალში მავალ ნავების საქმე იყვეს. სარწმუნო ცნობებით, როჟესტვენსკის გალაშქრება იმან გამოიწვია, რომ მას აღარ შეეძლო საპირო საგნები ეშოვან ესკადრისთვის, რაც ნეიტრალურ სახელმწიფოების მოქმედებამ გამოიწვიაო.

პარიზი, 21 მაისი. კამიმურას ესკადრა შანხაიში მოვიდა და დაათანხმა რუსის კონსული სეკვესტრი დაედო რუსის 8 გემისთვის. იგი ამის შემდეგ სახალინისკენ გაემართა.

სიმფეროპოლი, 20 მაისი. ქალაქის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს, მოხსნან ქალაქს გაძლიერებულ დაცვის წესები და, რაც შეიძლება ჩქარა, იქნან მოწვეული ხალხის წარმომადგენლები ბულიგინის კომისიაში,

დურბანი, 20 მაისი. გაანადგურა ნატალ საშინელმა ქარიშხალმა, რომელიც 24 საათს მძვინვარებდა. ნატალის ნაპირებიდან ბევრი გემი დაიღუპა,

პარიზი, ალფონსო, ალბად, ზღვით წავა, რადგანაც ეშინიან თავდასხმისა ხმელეთზე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ტფილისის ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა აუწყებს წევრთ, რომ წლიური საზოგადო კრება მოხდება 22 მაისს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1. 1904 წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. 1905 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. გამგეობის 4 წევრის არჩევა იმათ ნაცვლად, რომელნიც სამსახურს თავს ანებებენ.
4. გამგეობის წევრთა 4 კანდიდატის არჩევა.
5. სარევიზიო კომისიის 1 წევრის არჩევა.
6. 26 წევრის განცხადება დეპუტატის არჩევის შესახებ.

გამგეობა სთხოვს იმათ, რომელთაც სურთ 1904 წ. ანგარიში მიიღონ, მობძანდნენ საზოგადოების კანტორაში—განოვის ქუჩა, ფრიდონოვის სახლი.

(3—3) **გამგეობა.**

ჭიათურაში

ისყიდება ქვითკირის დუქანი

ერთის ოთახით, დახურული კრამიტით. მსურველთ მიმართონ ტეხნიკს ჭიჭინაძეს ჭიათურაში. (5—4)

ქ. გორში იძლევა ქირით საზაფხულო სახლი ხუთი ოთახით ციხის უბანში, სახ. სოლოღოვისა. (2—1)

ტფილისის აკეპარქიო **სიონის ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბავრაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 სანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—10)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—26)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოებსი ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБ.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—34)

მასწავლებელი

ამზადებს სამასწავლებლო ინსტიტუტში, შიონ მომზადებს სასწავლებლებისა და სხვა სასწავლებლებისთვის. ადრესი: მახვედის შესახ., № 43. (4—3)

[illegible] (90—62)

[illegible] Тифлисъ [illegible] „ЛОНДОНЪ“ [illegible]

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

Магазинная вывѣска. Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მაშინები ზინგერის ამხანაგობისა

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. [illegible] (25—8)